პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 153 (19894) პარასკევი, 3 ივლისი, 1987 წელი. ● ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

1 ივლისს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უმჯობესად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის პარტიის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და განყოფილებებს დაეკალათ ამსჯელონ პლენუმის მონაწილეთა, აგრეთვე მშრომელთა წერილებში გამოთქმულ კონკრეტულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკითხთა გამო, და შეიტანონ პოლიტბიუროში მათი განხორციელების წინადადებანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალა განსაზღვროს მართვის მთლიანი სისტემის რეალიზაციის წესი და ვადები, უზრუნველყოს მოუმზეი კონტროლი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის სამოქმედოდ შემოღებისადმი.

აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწორონ მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ, სკკპ XIX სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის მოსამზადებლად.

პოლიტბიურომ განიხილა 1987-88 წლის ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია პრინციპული ღონისძიებანი, რომლებმაც ზამთრის პერიოდში უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით.

1 ივლისს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უმჯობესად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის პარტიის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და განყოფილებებს დაეკალათ ამსჯელონ პლენუმის მონაწილეთა, აგრეთვე მშრომელთა წერილებში გამოთქმულ კონკრეტულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკითხთა გამო, და შეიტანონ პოლიტბიუროში მათი განხორციელების წინადადებანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალა განსაზღვროს მართვის მთლიანი სისტემის რეალიზაციის წესი და ვადები, უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის სამოქმედოდ შემოღებისადმი.

აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწორონ მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ, სკკპ XIX სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის მოსამზადებლად.

პოლიტბიურომ განიხილა 1987-88 წლის ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია პრინციპული ღონისძიებანი, რომლებმაც ზამთრის პერიოდში უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით.

პოლიტბიუროს ინფორმაციათა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დონისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას მისი პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით შესაბამის საბჭოთა უწყებებსა და ორგანიზაციებს მიეცათ კონკრეტული დავალებანი.

იმსჯელეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური მეგობრული ვიზიტების შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საერთაშორისო საქმეებში სოციალისტური ქვეყნების დინამიკური თანამშრომლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს

1 ივლისს გამართულ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს უმჯობესად ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნისათვის პარტიის ამოცანების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციასთან დაკავშირებით. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და განყოფილებებს დაეკალათ ამსჯელონ პლენუმის მონაწილეთა, აგრეთვე მშრომელთა წერილებში გამოთქმულ კონკრეტულ წინადადებებსა და კრიტიკულ შენიშვნებზე ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკითხთა გამო, და შეიტანონ პოლიტბიუროში მათი განხორციელების წინადადებანი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალა განსაზღვროს მართვის მთლიანი სისტემის რეალიზაციის წესი და ვადები, უზრუნველყოს მუდმივი კონტროლი სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის სამოქმედოდ შემოღებისადმი.

აღინიშნა, რომ საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწორონ მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა პლენუმის გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ, სკკპ XIX სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის მოსამზადებლად.

პოლიტბიურომ განიხილა 1987-88 წლის ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამ საკითხზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულია პრინციპული ღონისძიებანი, რომლებმაც ზამთრის პერიოდში უნდა უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება სათბობით, ელექტრო და თბოენერგიით.

პოლიტბიუროს ინფორმაციათა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დონისა და ხარისხის შემდგომ ამაღლებას მისი პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით შესაბამის საბჭოთა უწყებებსა და ორგანიზაციებს მიეცათ კონკრეტული დავალებანი.

იმსჯელეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკასა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში ე. ა. შევარდნაძის ოფიციალური მეგობრული ვიზიტების შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ საერთაშორისო საქმეებში სოციალისტური ქვეყნების დინამიკური თანამშრომლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

დავაჩქაროთ და გავაღრმავოთ გარდაქმნა

ამ დღეებში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი: პლენუმმა განიხილა საკითხი „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში“.. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

მოხსენებაში შეჯამებულია გარდაქმნის ზოგიერთი პოლიტიკური შედეგი, განსაზღვრულია მისი თანამედროვე ეტაპის პირველი რიგის ამოცანები. ყოველმხრივ და ღრმად არის განხილული მისი უმნიშვნელოვანესი რგოლი — ეკონომიკური მართვის რადიკალური რეფორმა, მისი საჭიროება და არსი, მისი სოციალური ასპექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, XXVII ყრილობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, გარდაქმნის კურსი ღრმა ზემოქმედებას ახდენს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. მისი დემოკრატიზაციის გზაზე დიდი ნაბიჯნაბიჯი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი. საბჭოთა ხალხმა მთლიანად დაუჭირა მხარი და სულ უფრო აქტიურად ემზიდა გარდაქმნის და დაჩქარების პროცესში, იღებს მომწიფებული პრობლემების დაუყოვნებელი გადაწყვეტისათვის.

ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკურ შეფასებაში მთავარია შრომისადმი, საკუთარი საწარმოო მოვალეობების შესრულებისადმი ადამიანთა დამოკიდებულება, რომელიც ახლა იცვლება. და ეს ბევრად არის დაკავშირებული საქმით მხარდაჭერასთან, რომელსაც მშრომელები უწევენ პარტიის გეზს, აგრეთვე ეკონომიკის ბევრი დარგის შეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე (სრული სამეურნეო ანგარიში, თვითდაფინანსება), შრომის ორგანიზაციის პროგრესულ ფორმებზე და, უწინარეს ყოვლისა, კოლექტიურ იჯარაზე გადასვლასთან.

ყოველივე ამან გარკვეულწილად გავლენა მოახდინა ეკონომიკურ შედეგებზე.

გაიზარდა შრომის ნაყოფიერების მატების ტემპი. საშუალოდ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მან გადაჭარბა მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მაჩვენებლებს მრეწველობასა და მშენებლობაში 1,3-ჯერ, სოფლის მეურნეობაში 2-ჯერ, ხოლო რკინიგზის ტრანსპორტზე — 3-ჯერ. საშრეწველო წარმოების მატების ტემპმა საშუალოდ 1985-1986 წლებში შეადგინა 4,4 პროცენტი, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 3 პროცენტი.

სოციალური სფეროს მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად ხუთწლიანი გეგმის გადაჭარბებით გამოიყოფა თითქმის 40 მილიარდი მანეთი. წელს სოციალური სფეროს განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მატების ტემპი სამჯერ უფრო სწრაფია, ვიდრე მთლიანად სახალხო მეურნეობაში.

გამოცოცხლდა სამეურნეო ცხოვრება სოფლად. მარცვლეულის წარმოება 1984 წელთან შედარებით გაიზარდა 37 მილიონი ტონით, ხორცისა (ნაკლები წონა) — მილიონი ტონით, რძისა — 4,3 მილიონი ტონით, კვერცხისა — 4,2 მილიარდი ცალით.

ამავე დროს რევოლუციური გარდაქმნები წინააღმდეგობებს, რუტინის, უძრაობის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში ხორციელდება.

წინა პლანზე, აღნიშნულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოხსენებაში, დადგა, ერთი მხრივ, წინააღმდეგობა განახლების, შემოქმედების, აღმშენებლობითი ინიციატივის მოთხოვნებსა და, მეორე მხრივ, კონსერვატიზმს, ინერციას, ანგარებითს ინტერესებს შორის.

ამ წინააღმდეგობის დაძლევის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა დემოკრატიის ფართო განვითარება. ჩვენი წინსვლის შემფერხებელი მართვის ბრძანებულურ-ადმინისტრაციულ ფორმებს უნდა დაეუპირისპიროთ დემოკრატიული ფორმები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებას მძლავრი დაჩქარება მიანიჭონ.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ საზოგადოების, კოლექტივისა და პიროვნების ინტერესების პარმონიზაციისათვის, შრომისა და განაწილებითი ურთიერთობის სფეროში წინააღმდეგობების, გათანაბრების, სხვისი მოიმედოობის ტენდენციების დაძლევისათვის.

გარდაქმნამ, მთელი სირთულის, სიძნელეებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, იდეური და მორალური გამჯანსაღება მოიპოვა და მთელი სიგრძე-სიგანით ვითარდება. გარდაქმნის ავანგარდშია მუშათა კლასი, და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი წარმატებისათვის. ძალას იკრებს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება.

ამავე დროს, უდიდესი მეცადინეობის მიუხედავად, გარდაქმნა ბევრ ადგილამდე ჯერ კიდევ რეალურად არ მისულა, თავი ინინა შემაფოთებელმა ტენდენციამ — მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები ჩამორჩებიან ცაბატონებულ განწყობილებებს, რომლებიც საზოგადოებაში მკვიდრდება. არის ფაქტები, როცა ქვეყნის განვითარების დიდ საკითხებზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ნელა და ნაწილობრივ ხორციელდება. უფრო ნელა, ვიდრე ამის მოითხოვს ცხოვრება, მიმდინარეობს ცენტრალური უწყებების გარდაქმნა. პრაქტიკულად ცოტა რამ კეთდება ადამიანთა სულ უბრალო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის.

ამიტომ, უნდა გავზარდოთ კომუნისტთა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საქმის ვითარებისათვის. მომწიფებული პრობლემების რეალური გადაწყვეტისათვის, გარდაქმნის მიმდინარეობისათვის.

უდავოა, გარდაქმნა გრძელვადიანი პოლიტიკაა. ახლა მიჯნებზე საბჭოთა საზოგადოების გაყვანის ამოცანას ერთი ხელის დაკვრით ვერ გადაწყვეტთ, მაგრამ ასევე უდავოა, რომ გარდაქმნაში დაუშვებელია ზოზინი, რომ იგი ორგანულად არის დაკავშირებული დაჩქარების საერთო სტრატეგიასთან. დღევანდელობის რეალური დიალექტიკა ის არის, რომ დავაჩქაროთ გარდაქმნა (დრო არ ითმენს), გარდაეიქმნათ დაჩქარებისათვის.

ახლა წინა პლანზე დგება ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა არსებითად გაუუჯობესებს ადამიანთა შრომის, ცხოვრების, ყოფის პირობებს, გაჯანსაღებს მორალურ-სულიერ ატმოსფეროს. საქმე უწინარეს ყოველისა ეხება სასურსათო და საბინაო პრობლემების გადაწყვეტას, სახალხო მოხმარების საქონლისა და მომსახურების სფეროს, სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილ ვითარებას, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებას, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ფართოვდება და ღრმავდება დემოკრატია. საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის პროცესი ქვეყანაში მიმდინარეობს ჯანსაღ საფუძველზე, რაც უდიდეს როლს ასრულებს გარდაქმნის პრინციპების საფუძველზე საზოგადოების მთელი ძალების გაერთიანებაში, ხალხის ინტერესებისათვის პროგრესული გარდაქმნების განხორციელებაში. მაგრამ საჯაროობის და დემოკრატიზმის განვითარება ზოლად კი არა, ზოგან მტკივნეულადაც კი მიმდინარეობს. და მწვავე სიტუაციებს იწვევს. ზოგი ცდილობს ერთი ნახევარსიმართლისა და ერთი ჯგუფის ამბიციების წინააღმდეგ ბრძოლის ნიღბით იგი მეორე ნახევარსიმართლითა და მეორე ჯგუფის ამბიციებით შეცვალოს. ამას ვაწყდებით მახობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, სამეცნიერო წრეებში.

ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანომ, ხელმძღვანელმა კადრებმა ცენტრში და ადგილებზე უნდა ისწავლონ მუშაობა მზარდი დემოკრატიის პირობებში. ამ სწავლების სამომავლოდ გადადება არ შეიძლება. უნდა ვისწავლოთ მუყაითად და დაუყოვნებლივ. ჩვენი ხალხი მხარს უჭერს დემოკრატიას პოლიტიკურადაც და პრაქტიკულადაც.

გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი რგოლია ეკონომიკური მართვის რეფორმა.

სამოცდაათიან-ოთხმოციანი წლების მიჯნაზე ეკონომიკური ზრდის ტემპი ისეთ დონემდე დაქვეითდა, რომ ფაქტობრივად ეკონომიკურ სტაგნაციას ბოსწყვეტდა. სახალხო მეურნეობაში იზრდებოდა ფინანსური დაძაბულობა. აღარ მოქმედებდა ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის მატების ეკონომიკური სტიმულები, ნიადაგი შეექმნა ფასების ზრდასა და მთელ რიგ სხვა ნეგატიურ პროცესებს. (მანქანათმშენებლობის ხელმიშვებულობა, პროდუქციის ცუდი ხარისხი, დეფიციტები). წელ — და ეს ყველაზე ხერხიულია — დაეიწყო ნაბორჩენა სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სწრაფი განვითარება, სახალხო მეურნეობის მკვეთრი გართულება, ექსტენსიური მეთოდებიდან ინტენსიურ მეთოდებზე, რაოდენობიდან ხარისხზე სიმძიმის ცენტრის გადატანის საჭიროება, სოციალური პირობების გავლენის გაძლიერება, ადამიანის ფაქტორის როლის მკვეთრი გაზრდა სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნას, მის რადიკალურ რეფორმას, ეკონომიკის მართვის მთლიანი, ეფექტიანი, მოქნილი სისტემის შექმნას.

პრინციპული თვალსაზრისით რეფორმის აზრი და მიმართულება ცხადია: მეტი სოციალიზმი, მეტი დემოკრატია.

ეს ნიშნავს, რომ მშრომელი ადამიანებისათვის უნდა უზრუნველყოთ ნამდვილი ბატონ-პატრონის მდგომარეობა სამუშაო ადგილს, კოლექტივში, საზოგადოებაში, მშრომელთა, როგორც წარმოების ბატონ-პატრონთა ინტერესი ხომ ყველაზე ძლიერი ინტერესი, დაჩქარების ყველაზე ძლავრი მამოძრავებელი ძალაა. ეს ნიშნავს სახელმწიფო საკუთრებასთან ერთად კოოპერაციისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ფორმის აქტიურ გამოყენებას.

სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობისა და მისი ცალკეული რგოლების დამოუკიდებლობის, გეგმაზომიერებისა და სახალხო-ფულადი ურთიერთობის დიალექტიკური ერთიანობა; ეკონომიკური ზრდის ხელახალი ორიენტაცია შუალედურად საბოლოო, სოციალურად მნიშვნელოვან შედეგებზე, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ადამიანის ყოველმხრივ განვითარებაზე; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად; საიმედოდ მოქმედი ხარჯვასაზღვრავი მექანიზმის შექმნა — ასეთია ეკონომიკური მართვის მთლიანი სისტემის შემადგენელი ნაწილები.

ამ სისტემის შექმნისათვის საჭიროა გადავიდეთ ყველა დონეზე ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდებზე, მართვის ფართო დემოკრატიზაციაზე, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებაზე.

მართვის გარდაქმნის საწყისი პუნქტი — ეკონომიკის ძირითადი რგოლი — საწარმოები და გაერთიანებებია. ამოცანა ის არის, რომ უწინარეს ყოველისა მას შეუქმნათ ყველაზე ხელშემწყობი ეკონომიკური გარემო, განვამტკიცოთ მისი უფლებები და ამავე დროს გავზარდოთ პასუხისმგებლობა და ამ საფუძველზე ძირეული ცვლილებები შევიტანოთ სამეურნეო მართვის ყველა ზემდგომი რგოლის საქმიანობაში.

მთავარია ფართო უფლებები მივანიჭოთ საწარმოებს და უზრუნველყოთ მათი ნამდვილი დამოუკიდებლობა სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

თვით საწარმო რეალური საზოგადოებრივი მოთხოვნილებების გათვალისწინებით აშუშავებს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმას. მას საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო ორგანიზაციათა, სამეურნეოგარიშიან საწარმოთა, სავაჭრო ორგანიზაციათა პირდაპირი შეკვეთა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის კონკრეტულ პროდუქციაზე. საწარმოებს უნდა შეეუქმნათ ისეთი პირობები, როცა მათ შორის გაჩაღდება ეკონომიკური შეჯიბრება მომხმარებელთა მოთხოვნის უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

საწარმოები და გაერთიანებები (და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს) გადადიან თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე, ამასთან უმნიშვნელოვანესი როლი ეთმობა ხანგრძლივი მოქმედების სტაბილურ ნორმატივებს — გადასახდელებს სახელმწიფო ბიუჯეტში, პროცენტებს კრედიტისათვის, შრომის ანაზღაურებისა და სოციალურ საჭიროებათა დაკმაყოფილების ფონდების შექმნას.

შრომელთა ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოვლენის ძლავრი სტიმული ხდება შრომითი კოლექტივების გადასვლა თვითმმართველობაზე, რომლის დროს ისინი დამოუკიდებლად წყვეტენ წარმოების შინაგანი ორგანიზაციის ყველა საკითხს, და ხელმძღვანელსაც კი თვითონ ირჩევენ.

საწარმოთა და გაერთიანებათა სრული სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და თვითმმართველობის პირობებში თვისებრივად უნდა განახლდეს ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობაც.

საერთო-სახელმწიფო გეგმამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები, სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიმართულებანი, სამეფნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის დაგროვების, თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების ამოცანები.

ეკონომიკის მართვის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ფასწარმოქმნისა და ფასების — საბითუმო, მესანაცვლო, საცალო ფასებისა და ტარიფების რადიკალური გარდაქმნა. ფასები რაც შეიძლება მეტად უნდა შეეუსაბამოთ საზოგადოებრივად საჭირო დანახარჯებს.

საბითუმო ფასების რეფორმამ უნდა გააჯანსაღოს ვითარება სახალხო მეურნეობაში. შექმნას საუკეთესო პირობები წარმოების ეფექტიანობის ზრდისათვის, რესურსდაზოგვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. რაც შეეხება საცალო ფასებს, მათმა შეეცვლამ უნდა აამაღლოს გარკვეული კატეგორიის მშრომელთა ცხოვრების დონე, ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის უფრო სრულ განხორციელებას.

ფასწარმოქმნის რეფორმასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის გარდაქმნა. მისი ძირითადი მიმართულებაა მტკიცედ გადავიდეთ წარმოების საშუალებების საბითუმო ვაჭრობაზე როგორც მიმწოდებელთა და მომხმარებელთა პირდაპირი კავშირის მეშვეობით, ისე სამეურნეოგარიშიანი საბითუმო ბაზების მეშვეობით. სახელმწიფო ორგანოებს დარჩებათ საბითუმო ვაჭრობის რეგულირებისა და მისდამი კონტროლის ფუნქციები.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის პროცესი იოლად ვერ წავა, თუ არ განვახორციელეთ რადიკალური საფინანსო-საკრედიტო რეფორმა. მისი მიზანი ის უნდა იყოს, რომ საწარმოებთან ბიუჯეტის ურთიერთობა გადავიყვანოთ ნორმატიულ საფუძველზე, გამოვრიცხოთ საქონლის საბოლოო რეალიზაციამდე შემოსავლის მიღების ყველა შესაძლებლობა, უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი ფინანსური გაჯანსაღება.

ეკონომიკური მართვის მთლიანი სისტემის შექმნა გულისხმობს მართვის ორგანოების ორგანიზაციული სტრუქტურებისა და მუშაობის გარდაქმნას.

ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ეკონომიკის ძირითად რგოლს — საწარმოებსა და გაერთიანებებს. საჭიროა, რომ მათი შემადგენლობა შეესაბამებოდეს რაციონალურ სპეციალიზაციასა და კოოპერაციას, ქმნიდეს ყველაზე პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების პირობებს. ერთ ორგანიზაციად უნდა გაგაერთიანოთ წარმოების ყველა რგოლი — გამოყენებითი კვლევიდან სერიულ წარმოებამდე და ტექნიკურ მომსახურებამდე. ამასთან, რასაკვირველია, უნდა გავითვალისწინოთ მართვადობის ფაქტორი. საჭიროა აგრეთვე ამა თუ იმ სახეობათა პროდუქციის წარმოებაში თავიდან ავიცილოთ გაერთიანებათა მონოპოლიური მდგომარეობა.

რაც შეეხება დარგობრივ მართვას და, უწინარეს ყოვლისა, სამინისტროებს, ეს უკანასკნელნი ნამდვილად უნდა გახდნენ დარგების სამეცნიერო-ტექნიკური და საგეგმო-ეკონომიკური შტაბები, პასუხს აგებდნენ ქვეყნის წინაშე დარგის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, წარმოების ტექნოლოგიის მსოფლიო დონეზე გასვლისათვის, პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონისათვის, აქტიურად ავითარებდნენ და სრულყოფდნენ დარგის სტრუქტურას, აღრმავებდნენ სპეციალიზაციასა და კოოპერაციას, ამუშავებდნენ ეკონომიკურ ნორმატივებს, ბერკეტებსა და სტიმულებს საქვეუწყებო საწარმოებისათვის.

ყველაზე რთული პრობლემებია დარგთშორისი პრობლემები. მათ გადასაწყვეტად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა და მოქმედებს სახალხო-სამეურნეო კომპლექსებისა და ურთიერთდაკავშირებული დარგების ჯგუფების მართვის მუდმივი სისტემები — სახაგრომრეწვი, სახშენი, მანქანათმშენებლობის ბიურო და სათბობენერგეტიკული კომპლექსის ბიურო, საგარეო-ეკონომიკური კომისია, სოციალური განვითარების ბიურო.

მთავრობის მუდმივმოქმედი ორგანოები თანამიმდევრულად უნდა გადავაქციოთ ცხოველუნარიან ორგანიზაციებად, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთი კომპლექსების განვითარებისათვის, დარგთშორისი პრობლემების გადაწყვეტისათვის.

სერიოზულად უნდა გაუმჯობესდეს ტერიტორიული მართვა, ამ თვალსაზრისით, როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება შეექმნათ საოლქო და სამხარეო საბჭოების აღმასკომების შემადგენლობაში საწარმოო-ეკონომიკური სამართველოები რეგიონების განვითარების გეგმების კომპლექსური შემუშავებისათვის, მოცემულ ტერიტორიაზე მთელი ეკონომიკური მუშაობის კოორდინაციისათვის.

მ. ს. გორბაჩოვი სპეციალურად შეეხო ეკონომიკური მართვის გარდაქმნის სოციალურ ასპექტებს. სოციალური, ადამიანური პრობლემების გადაწყვეტაში განსაკუთრებით შეუწყნარებელია პასიურობა, ნარჩენების გამოყოფის პრინციპი, სხვისი მოიმედოობა.

გარდაქმნა შეუძლებელია, თუ ზუსტად არ მოვაგვარეთ პარტიულ-პოლიტიკური უზრუნველყოფაც.

პლენუმზე დამტკიცდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ წარმოდგენილი „ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი“. ეს დებულებანი შეიცავს მართვის მთლიანი სისტემის შექმნის შესახებ როგორც პრინციპულ, ისე კონკრეტულ მითითებებს. ისინი გახდა პარტიული დირექტივა ამ დარგში შემდგომი მუშაობისათვის.

მოწონებულია სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტი.

ძირითადად მოიწონეს დადგენილებათა პროექტები, რომლებიც ეხება მართვის ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის, დაგეგმვის სისტემის გარდაქმნას და სხვა ნორმატიულ აქტებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალათ მიიღონ ისინი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განხილვის გათვალისწინებით.

პლენუმმა მოიწონა გარდაქმნის კურსის განსახორციელებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობა და დაეკალა განუხრელად განაგრძონ პარტიული ყრილობის სტრატეგიული გეზი ხალხის, სოციალიზმის განმტკიცების, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავების ინტერესებისათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, ყველა კომუნისტი, მთელი კაცრები გაორკეცებული ენერგიით მოკიდებენ ხელს ჩვენს საზოგადოებაში მომწიფებული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკური მართვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა ახლა ცენტრალური ამოცანაა, რომელიც განსაზღვრავს დაჩქარების მთელი სტრატეგიის წარმატებას. მისი განხორციელება უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმე, ქვეყნის მთელი ცხოვრების განსაზღვრის პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი, ოქტომბრის საქმის პირდაპირი განგრძობაა.

განსახორციელებელ გარდაქმნათა ავანგარდში უნდა იყვნენ პარტიული ორგანიზაციები. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა თანამიმდევრულად უნდა განახორციელონ მუშაობის სტილის სრულყოფის, ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების დაკვიდრების კურსი, ამასთან დაეყრდნონ პირველადს პარტორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ალალ-მართლად და პრინციპულად შეაფასონ საქმის ვითარება, კადრებს ასწავლონ ახლებურად მოქმედება. უნდა განხორციელდეს ცენტრალური ეკონომიკური ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და გაერთიანებების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობაში პასუხისმგებლობისა და პრინციპულობის ზრდის კონკრეტული ღონისძიებანი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა მომავალი წლის 28 ივნისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სახასლეში, მოიწვიოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX საკავშირო კონფერენცია. მასზე განიხილონ საკითხები: სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა, მეთორმე

მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ყველა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლება და თავისუფლება, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით და საბჭოთა კანონებით. პიროვნების პატივისცემა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და თანამდებობის პირის მოვალეობაა.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლება მიმართონ სასამართლოს მათი პირადი, ქონებრივი, ოჯახური, შრომითი, ბინისა თუ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ეს კანონი განსაზღვრავს მოქალაქეთა უფლებების შემბღალავ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესს.

მუხლი 1. სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის უფლება

მოქალაქეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საჩივრით, თუ მიიჩნია, რომ თანამდებობის პირის მოქმედებამ შებღალა მისი უფლებები.

სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს თანამდებობის პირთა მიერ თავისი სახელით ან იმ ორგანოს სახელით ერთპიროვნულად განხორციელებული მოქმედება, რომელსაც ისინი წარმომადგენლობენ.

მუხლი 2. თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელიც სასამართლო გასაჩივრებას ექვემდებარება

თანამდებობის პირთა კანონის დარღვევით, უფლებამოსილების გადაჭარბებით ჩადენილ და მოქალაქეთა უფლებების შემბღალავ მოქმედებას განეკუთვნება მოქმედება, რომლის შედეგად:

მოქალაქე უკანონოდ არის მოკლებული შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს მისთვის კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლება;

მოქალაქეს უკანონოდ დაეკისრა რაიმე მოვალეობა.

მუხლი 3. ამ კანონის მოქმედების ფარგლები

ამ კანონის შესაბამისად სასამართლოში ვერ გასაჩივრდება იმ თანამდებობის პირთა მოქმედება, რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შრომითი დავის განხილვის წესის, ლიმონჩენკოს, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა და სხვათა შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესი, აგრეთვე მოქმედება, რომელიც უკავშირდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფას.

მუხლი 4. საჩივრის შეტანა

საჩივრის შეტანა სასამართლოში შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოქალაქე თანამდებობის პირის მოქმედებაზე საჩივრით მიმართავს დაქვემდებარების წესით ზემდგომ თანამდებობის პირს ან ორგანოს.

საჩივარი თანამდებობის პირის მოქმედებაზე სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენელმა, აგრეთვე მოქალაქის თხოვნით — საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის სათანადოდ უფლებამოსილმა წარმომადგენელმა.

საჩივარი თანამდებობის პირის მოქმედებაზე უნდა შეიტანონ რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოში იმ თანამდებობის პირის სამუშაო ადგილის მიხედვით, რომლის მოქმედებაც საჩივრდება.

მუხლი 5. სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვის ვადები

საჩივრის სასამართლოში შეტანა შეიძლება ერთი თვის ვადაში, რომელიც აღირიცხება იმ დღის შემდეგ, რაც მოქალაქე უარს მიიღებს მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე დაქვემდებარების წესით ზემდგომი თანამდებობის პირისა თუ ორგანოსაგან, ან იმ დღის შემდეგ, რაც ამოიწურება საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ვადა.

საჩივრის მიწოდებისათვის დადგენილი საპატიო მიზეზით გაცდენილი ვადის აღდგენა შეუძლია სასამართლოს.

საჩივრის მიღებაზე უარის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში ათი დღის მანძილზე უარის შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ.

მუხლი 6. საჩივრის განხილვა

სასამართლოს მიერ საჩივრის განხილვა და სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება ხორციელდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესებით, იმ გამონაკლისებით და დამატებებით, რომლებიც დაწესებულია ამ კანონით, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საჩივარს სასამართლო განიხილავს ათი დღის ვადაში, როგორც წესი, ღია სხდომაზე, მომჩივანი მოქალაქისა და იმ თანამდებობის პირის მონაწილეობით, რომლის მოქმედება საჩივრდება.

თუ მოქალაქეს ან თანამდებობის პირს, რომლის მოქმედება საჩივრდება, არ შეუძლიათ სასამართლოში გამოცხადება საპატიო მიზეზით, საქმე შეიძლება განხილულ საჩივრის შემტანი მოქალაქის წარმომადგენლის ან თანამდებობის პირის წარმომადგენლის მონაწილეობით.

სასამართლო სხდომაზე საჩივრის შემტანი მოქალაქის ან თანამდებობის პირის, რომლის მოქმედებაც საჩივრდება, ან მათი წარმომადგენლების არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საჩივრის განხილვას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია საკადრესო ცნოს საჩივრის შემტანი მოქალაქისა და იმ თანამდებობის პირის გამოცხადება, რომლის მოქმედება საჩივრდება.

სასამართლო გარჩევაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს, აგრეთვე დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანოების თანამდებობის პირებს ან მათ წარმომადგენლებს.

სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი თანამდებობის პირების ან ორგანოების მასალები, რომლებმაც კანონიერად ცნეს თანამდებობის პირის გასაჩივრებული მოქმედება, აგრეთვე შეიძლება მოისმინოს სხვა პირების განმარტებები, გამოიკვლიოს საქმიერ დოკუმენტები და სხვა დამამტკიცებელი საბუთები.

მუხლი 7. სასამართლოს გადაწყვეტილება საჩივრის გამო

საჩივრის განხილვის შედეგების გამო სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება.

თუ სასამართლო თანამდებობის პირის გასაჩივრებულ მოქმედებას არამართლზომიერად ცნობს, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის საფუძვლიანობისა და იმის შესახებ, რომ შესაბამისი თანამდებობის პირი ვალდებულია აღმოფხვრას მოქალაქის უფლების დაშვებული დარღვევა.

თუ სასამართლო დაადგენს, რომ გასაჩივრებული მოქმედება ჩადენილი იყო კანონის შესაბამისად, თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლებში და რომ მოქალაქის უფლება არ შებღალულა, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ.

საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის დაშვებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად ეგზავნება თანამდებობის პირს, რომლის მოქმედება გასაჩივრდა, ან დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ ორგანოსა თუ თანამდებობის პირს.

საჩივრის გამო სასამართლო გადაწყვეტილებას შესასრულებლად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ სასამართლოსა და მოქალაქეს ეცნობება არაუგვიანეს ერთი თვის ვადისა სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან. გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლო ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მუხლი 8. სასამართლოს კერძო განჩინება

თუ საჩივრის განხილვისას სასამართლო გამოიტანს დასკვნას, რომ დაირღვა მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი, რომ იყო საქმის გაჭიანურება, კრიტიკის ჩახშობა, მისი გულისთვის დევნა, აგრეთვე კანონიერების სხვა დარღვევები, სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება და უგზავნის მას დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომ თანამდებობის პირს ან ორგანოს. აღნიშნული თანამდებობის პირი ან ორგანო ვალდებულია არიან ერთი თვის ვადაში აცნობონ სასამართლოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც კერძო განჩინების გამო განახორციელეს.

თუ საჩივრის განხილვისას სასამართლო აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს თანამდებობის ან სხვა პირის მოქმედებაში, იგი ამას აცნობებს პროკურორს ან აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს.

მუხლი 9. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე პროტესტის შეტანა

საჩივრის გამო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაგრამ ზედამხედველობის წესით მისი გაპროტესტება შეუძლია პროკურორს.

პროტესტის შეტანა აჩერებს გადაწყვეტილების შესრულებას.

მუხლი 10. მოქალაქის პასუხისმგებლობა სასამართლოში ცილისმწამებლური მიზნით საჩივრის შეტანისთვის

მოქალაქის მიერ სასამართლოში საჩივრის ცილისმწამებლური მიზნით შეტანას მოჰყვება პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი. 11. სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება

მოქალაქეთა საჩივარი თანამდებობის პირთა მოქმედებაზე, რომელიც სასამართლოში შეიქმნა, სახელმწიფო ბაჟით არ იბეგრება.

მუხლი 12. საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება

საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები სასამართლომ შეიძლება დააკისროს მოქალაქეს, თუ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ, ან თანამდებობის პირს, თუ დადგენს, რომ მისი მოქმედება უკანონოა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **დადგენილება**

„მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

„მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონი 1988 წლის 1 იანვრიდან.

დადგინდეს, რომ ამ კანონის შესაბამისად სასამართლოში საჩივრის შეტანა შეიძლება თანამდებობის პირთა მიერ 1987 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ჩადენილი მოქმედების გამო.

2. დაეკალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს „მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ“ სსრ კავშირის კანონს.

3. დაეკალოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განრიგსახელობათა კომისიებს განიხილონ მოქალაქეთა უფლებების შემბღალავი თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესის შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის განხილვის დროს დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შედეგები მოახსენონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 24 დეკემბრისა — „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში დამატების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 7 იანვრისა — „სსრ კავშირში უცხოეთის ფირმების, ბანკებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლობათა განსახილველ საქმიანობის ვადის გაგრძელების ნებართვის გაცემისათვის გადასახადების შესახებ“;

1987 წლის 13 იანვრისა — „სსრ კავშირის უცოლო, მარტოხელა და მცირერიცხოვანი ოჯახის პატრონ მოქალაქეთა გადასახადის დამატებითი შეღავათების შესახებ“;

1987 წლის 13 იანვრისა — „სსრ კავშირის ტერიტორიაზე საბჭოთა და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მართვის ორგანოების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ“;

1987 წლის 21 იანვრისა — „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენებისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“;

1987 წლის 16 თებერვლისა — „კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 1 აპრილისა — „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის 30-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

1987 წლის 23 აპრილისა — „მოქალაქეთა დაბეგვრის საკითხებზე ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 28 მაისისა — „ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის თაობაზე სსრ კავშირის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებათა და უცხოეთის ორგანიზაციების, ფირმებისა და მართვის ორგანოების მონაწილეობით ერთობლივი საწარმოების, საერთაშორისო გაერთიანებებისა და ორგანიზაციების შექმნისა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ“;

1987 წლის 21 იანვრისა — „სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის ცალკეული მუხლების გამოყენებისა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დებულების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“;

1987 წლის 16 თებერვლისა — „კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშემოსავლო გადასახადის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 29 მაისისა — „არყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1987 წლის 10 ივნისისა — „კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 10 ივნისისა — „თევზჭერის გადასახადელის გაუქმების შესახებ“;

1987 წლის 22 ივნისისა — „სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

„სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 16 ივნისის ბრძანებულება „სსრ კავშირის პროკურატურის შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის **კანონი**

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1987 წლის 18 თებერვლისა — „სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1987 წლის 22 ივნისისა — „სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის საკითხთა კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

დეპუტატ პ. გ. გილაშვილის სიტყვა

(გეგეჭკორის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

საკითხს, რომელსაც განვიხილავთ, ეწოდება კანონის პროექტი, რაც ფორმით, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ, ალბათ, პროექტს ვერ უწოდებ იმას, რაც პრაქტიკულად უკვე მოქმედებს, მუშაობს და სასარგებლოდ ემსახურება გარდაქმნისა და დაჩქარების საქმეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა ღრმად დაგვარწმუნა, რომ სწორია ლენინური რჩევა-დარიგება: ვუთხრათ ადამიანებს სიმართლე მარტივად, ნათლად და პირდაპირ; რომ პირდაპირი პოლიტიკა ყველაზე კარგი პოლიტიკაა, ხოლო პრინციპული პოლიტიკა — ყველაზე პრაქტიკული პოლიტიკა. სკკპ XXVII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ იმაშიც დარწმუნდნით, რომ ჩვენს პარტიას არა აქვს ისეთი თემები და საკითხები, რომელთა განხილვა გულახდილად არ შეეძლოს ხალხთან ერთად, რადგან მისი პოლიტიკა მკაფიო და პატიოსანი პოლიტიკაა.

„ვრცელი, დროული და გულახდილი ინფორმაცია, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — მოწმობს ნდობას ადამიანებისადმი, პატივისცემას მათი გონებისა და გრძნობებისადმი, უნარისადმი თავად გაერკვნენ ამა თუ იმ მოვლენებში. იგი ზრდის მშრომელთა აქტიურობას“.

ახლა ჩვენ თავად გავხდით მონაწილენი და მოწმენი იმისა, თუ როგორ აქტიურობას იჩენენ მშრომელები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში დასაზელებული თითოეული კანდიდატის დაინტერესებულ განხილვაში.

ხალხის პოლიტიკური აქტიურობის შემდგომი განვითარების საქმეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონი სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ, რომელსაც დღეს ვიღებთ. ამრიგად, კანონით დადგენილი წესი იქნება ცხოვრების ნორმა, დამკვიდრდება პრაქტიკაში და, ხატოვნად რომ ვთქვათ, შემდგომში უნდა იმოქმედოს ავტომატური შეუფერებელი რეკომენდაციით.

მისაღები კანონის პროექტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში.

ცხოვრება გვიჩვენებს, რომ, როცა მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემებზე გულახდილად და საჯაროდ ველაპარაკებით ადამიანებს, ვეწევით საერო ორგანიზატორულ მუშაობას, რათა საზოგადოებრიობის ფართო ფენები აქტიურად ჩავაბათ ასეთი პრობლემების გადაწყვეტაში, მაშინ წარმატებაც უზრუნველყოფილია, და პირიქით, თუ საქმისადმი ამგვარი მიდგომა არ არის, ამას სასურველი შედეგები არ მოაქვს.

პირველ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შედეგიანი ბრძოლა ლოთობის დაძლევისათვის, სადაც წარმატებანი ცხადი და უდავოა. მეორე შემთხვევაში — ბრძოლა არანაკლებ მავნე ჩვევასთან — თამბაქოს წევასთან, სადაც, სამწუხაროდ, ამ ბოროტების წინააღმდეგ მთელი ბრძოლა შემოიფარგლა ჯანმთელობის დაცვის სამინისტროს უწყინარი გაფრთხილებით.

მართვის მეტისმეტად ცენტრალიზებული მბრძანებლური სისტემიდან მართვის დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლის, თვითმართველობის განვითარების, ადამიანის პიროვნების პოტენციალის გააქტიურების მექანიზმის შექმნის გამო, რაზეც ლაპარაკი იყო ახლახან გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, მართვა საზოგადოებრიობისათვის ხელმისაწვდომი ობიექტი უნდა გახდეს და სისტემატურად ავლენდეს თავს.

შემუშავებაში მოქალაქეების მონაწილეობის განვითარებას. მაგრამ ამ საქმეში აქტიურობის გამოსაყენებად გვჭირდება სათანადო პირობები და წინამძღვრები. ცნობილია, რომ საფუძვლიან მოსაზრებებს, საინტერესო და საქმიან წინადადებებს, ჩვეულებრივ, მაშინ გამოთქვამენ, როცა ადამიანი გარკვეულია საკითხებში, რომელთა გამო თავისი აზრი უნდა გამოთქვას. ამიტომ უაღრესად საჭიროდ მიგვაჩნია, სულ უფრო მეტ მშრომელს მივაღწიოთ უშუალო მონაწილეობა სახელმწიფო საქმეთა მართვაში, სულ უფრო აქტიურად ჩავაბათ ისინი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებაში, მიღებასა და განხორციელებაში.

„ვრცელი, დროული და გულახდილი ინფორმაცია, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა, — მოწმობს ნდობას ადამიანებისადმი, პატივისცემას მათი გონებისა და გრძნობებისადმი, უნარისადმი თავად გაერკვნენ ამა თუ იმ მოვლენებში. იგი ზრდის მშრომელთა აქტიურობას“.

ახლა ჩვენ თავად გავხდით მონაწილენი და მოწმენი იმისა, თუ როგორ აქტიურობას იჩენენ მშრომელები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებში დასაზელებული თითოეული კანდიდატის დაინტერესებულ განხილვაში.

ხალხის პოლიტიკური აქტიურობის შემდგომი განვითარების საქმეს, უეჭველია, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონი სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ, რომელსაც დღეს ვიღებთ. ამრიგად, კანონით დადგენილი წესი იქნება ცხოვრების ნორმა, დამკვიდრდება პრაქტიკაში და, ხატოვნად რომ ვთქვათ, შემდგომში უნდა იმოქმედოს ავტომატური შეუფერებელი რეკომენდაციით.

მისაღები კანონის პროექტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებათა

ლებლობა მიეცემათ. უნდა შენიშნონ, რომ [illegible] ყობის ასეთი [illegible] დით, ფიქრადაც არ გვქონია ველოსიპედის გამოგონება, უბრალოდ ვცდილობთ ვისწავლოთ ველოსიპედით უკეთ სიარული.

საჯაროობას, რომელიც ახლა გარდაქმნის ერთგული თანამგზავრი გახდა, დადებითი შედეგები მოაქვს, და პირიქით, თუ იგი არ არის, ხშირად ძნელდება დასახული გეგმების მიღება და განხორციელება. ასე მოხდა ჩვენი ხალხის ოდინდელი ოცნების — კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით. სწორედ იმან, რომ არ იყო ფართო საჯაროობა ამ რკინიგზის მშენებლობის მნიშვნელობისა და პირობების შესახებ, საზოგადოებრიობის ნაწილში წარმოშვა მოთმენა-მოთმენა, თითქოს ბუნებას გამოუსწორებელი ვნება მიადგება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ამ საკითხის გამო გაშლილმა ფართო ახსნა-განმარტებითმა მუშაობამ გაამათილა და ამათილებს ამგვარ ეშეგებს.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის სწორი და კომპლექსური გადაწყვეტილებისა და ინტერესების გათვალისწინებით მიღებულია გადაწყვეტილება შეიქმნას საზოგადოებრიობის საკონსულტაციო საბჭო, რათა ყოველმხრივ და ხარისხიანად გაფიქრეს მეთვალყურეობა დაპროექტებისა და მშენებლობის მიმდინარეობას. ამ საქმეში საზოგადოებრიობის ჩაბმა რწმენას გვმატებს, რომ წარმატებით განხორციელდება რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის უაღრესად საჭირო მაგისტრალის მშენებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები საქართველოს სს რესპუბლიკისაგან მზარს უშვრენ სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ კანონის წარმოდგენილ პროექტს და გამოთქვამენ რწმენას, რომ იგი კარგ და საიმედო სამსახურს გაუწევს გარდაქმნისა და დაჩქარებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს, ხელს შეუწყობს ახლახან გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **დადგენილება**

„ამხ. ბ. ლ. ტოლსტიხის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 6 თებერვლის ბრძანებულება ამხ. ბორის ლეონტის ძე **ტოლსტიხის** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **დადგენილება**

ამხ. დ. ტ. იაზოვის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დანიშვნისა და ამხ. ს. ლ. სოკოლოვის ამ მოვალეობისაგან განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 30 მაისის ბრძანებულებანი:

არმიის გენერალს დიმიტრი ტიმოთეს ძე **იაზოვის** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

საბჭოთა კავშირის მარშლის სერგი ლეონიდეს ძე **სოკოლოვის** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1987 წლის 30 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს **დადგენილება**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1986 წლის 21 ნოემბრისა—ამხ. ედვარდ პაულის ძე **სლავსკის** სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 21 ნოემბრისა — ამხ. ლევ დიმიტრის ძე **რიაბევის** სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. გრიგოლ ივანეს ძე **ვაშჩენკოს** სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. კონდრატე ზიგმუნდის ძე **ტერეხის** სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. სერგი პეტრეს ძე **ბურენკოვის** სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ ჯანმრთელობის გამო პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

1986 წლის 26 დეკემბრისა — ამხ. ფილიპე ტიმოთეს ძე **ერმაშის** სსრ კავშირის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მო

საკრებული
ფაქტები • მოვლენები

მასშტაბურობა, რეალიზმი

გამოხმაურება

საერთაშორისო საზოგადოებრიობა კვლავ აქტიურად იხილავს და განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგებს, მოხსენებას, რომელიც პლენუმზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა. სხვადასხვა ქვეყნის თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს სტრატეგიულ კურსს, რომლის მიზანია სამეურნეო საქმიანობის რადიკალური რეფორმა, მასშტაბური გარდაქმნები ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში საბჭოთა ადამიანების ცხოვრების თვისებრივი გაუმჯობესებისთვის, სოციალიზმის ნამდვილი განახლების, საბჭოთის პრესტიჟისა და ავტორიტეტის გაძლიერებისათვის. იუწყებიან რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას, მასობრივი ინფორმაციის ორგანოები აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი ახორციელებს მართვის დემოკრატიზაციის, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების გადამწყვეტი პირობის მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

გუდაპეშტი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, წერს „ნეპსაბადშაი“, მიიღო გადაწყვეტილებანი საბჭოთა სახელმწიფოს აწმყოსა და მომავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე. სახალხო მეურნეობის მართვის ძირეული გარდაქმნა საკავნძო ამოცანაა სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული იმ სტრატეგიული კურსის განხორციელებაში, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის თვისებრივ განახლებას. საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია კეთილშობილური მიზანი — გარდაქმნის თეორიას ხორცი შეასხას სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით.

ვარშავა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს საბჭოთა ეკონომიკა გაჰყავს რადიკალური რეფორმების გზაზე, წერს ყოველკვირეული „უიჩე გოსპოდარჩე“. ეს ნიშნავს საბჭოთა ეკონომიკის ხელმძღვანელობაში ფუძემდებელი, ნამდვილი რევოლუციური, კომპლექსური ცვლილებების კონკრეტულ განხორციელებას, სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული პროგრამის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ულან-ბატორი. პლენუმის მიერ დასახული დიდი მასშტაბის პროგრამის რეალიზაცია, აღნიშნავს „ჰუდულმური“, აქტიურად შეუწყობს ხელს სოციალიზმის უპირატესობათა უფრო სრულ გამოვლინებას. ეს პროგრამა სახავს ოქტომბრის სამშობლოს დაბადებიდან 70 წლისთვის, რომელშაც ეძღვნება ჩვენი ფესტივალები. მათი დევიზი „ჩქარებული განვითარების გზას, წარუთავალი მნიშვნელობა აქვს მთელი სოციალისტური თანამეგობრობისთვისაც.

ვაშინგტონი. მოსკოვში დასახეს საბჭოთა ეკონომიკის სასწრაფო და რადიკალური რეფორმის ღონისძიებანი, წერს „ვაშინგტონ პოსტი“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მოწონებული რეფორმათა კომპლექსი ქვეყნის ეკონომიკას გაათავისუფლებს ცენტრალური საგეგმო ორგანოების მოძალეობისაგან, შესაძლებელს გახდის გადაისინჯოს ფასების არქაული სისტემა, მეტ სარბიელს მისცემს საწარმოთა საქმიანობას.

პარიზი. „მონდი“ წერს: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ კანონის ძალა მიანიჭა რამდენიმე დოკუმენტს, რომლებშიც დასახულია საბჭოთა ხელმძღვანელობის მიერ ეკონომიკის მართვის ძირეული რეფორმის ძირითადი მიმართულებანი.

ბონი. ძირეული რეფორმა საბჭოთა კავშირში, აღნიშნავს „ნოიე რურ-ციტუნგი“, გამოწვეულია იმის საჭიროებით, რომ საზოგადოების გარდაქმნის ბაზისი გახდეს კარგად მოქმედი ეკონომიკა. საბჭოთა ხელმძღვანელობას ჩანაფიქრები გადაჰყავს პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა სიბრტყეში. ამასთან ტემპი, რომლითაც ეს უნდა განხორციელდეს, უაღრესად სწრაფია.

ტოკიო. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგები, უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მნიშვნელოვან კანონთა მიღება დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში ხორციელდება დემოკრატიის გაფართოების კურსი, წერს „ასაჰი“.

საფრანგეთი. ლოტარინგიაში, მდებარე მეზის ნაპირას მდებარე პატარა სოფლის დომრემის მკვიდრნი სათუთად ინახავენ ჟანნ დარკის ხსოვნას. დღეს ამ პატარა ხახლის (სურათზე) სანახავად ასობით ტურისტი მოდის. აქ მოწყობილია პატარა მუზეუმი, რომელიც საფრანგეთის ეროვნული გმირის ცხოვრებას გვაცნობს.

Ი. კოროლიოვის ფოტო. (საკდესის ფოტოკორონიკა).

ფოტოინფორმაცია

მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი

დელი. ინდოეთში სსრ კავშირისა და სსრ კავშირში ინდოეთის ფესტივალები მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის განათლებისა და კულტურის სახელმწიფო მინისტრმა კრიშნა საჰმ. ხალხის სულს მისი კულტურა გამოხატავს, და ჩვენი ფესტივალები არა მარტო საშუალებას მისცემს ორი ქვეყნის ხალხებს გაეცნონ ერთმანეთის მდიდარ კულტურას, არამედ ხელს შეუწყობს საბჭოთა და ინდოელი ხალხების ურთიერთგაგების გაღრმავებას. ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ეს გრანდიოზული კულტურული გაცვლა გააფართოებს ჩვენს ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობასა და დიალოგს.

ორივე ქვეყანა ფესტივალებზე წარმოადგენს ყოველივე საუკეთესოს, აღნიშნა მინისტრმა. ინდოეთი გზავნის თავის საუკეთესო მუსიკოსებს, მოცეკვავეებს, მომღერლებს, სხვადასხვა ჟანრის მსახიობებს, გამოფენებს, რომლებიც ინდოეთის კულტურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას მთელი მრავალფეროვნებით წარმოადგენენ. მოუთმენლად ველით სსრ კავშირიდან გამოხმაურებას იმის თაობაზე, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს საბჭოთა ადამიანებზე ინდოეთის ფესტივალი და, რა რა თქმა უნდა, ვეტზადებით ინდოეთში სსრ კავშირის მომავალი ფესტივალისათვის.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ესოდენ გრანდიოზული მასშტაბის ფესტივალი უპრეცედენტო მოვლენაა სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ჩვენ ერთად აღვნიშნავთ ინდოეთის დამოუკიდებლობის 40 წლისთავს და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს, რომელშაც ეძღვნება ჩვენი ფესტივალები. მათი დევიზი შეიძლება იყოს სიტყვა „მეგობრობა“, რომელსაც ფესტივები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული.

ინდოეთის საზოგადოებრიობა უდიდეს ინტერესს იჩენს სსრ კავშირში ინდოეთის ფესტივალისა და ინდოეთში სსრ კავშირის ფესტივალის მიმართ, თქვა კრიშნა საჰმ. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი ფესტივალი კიდევ უფრო განამტკიცებს მეგობრობას ჩვენს საბჭოთა ხალხთან და ძმებთან, და, მაშასადამე, ორი ქვეყნის ურთიერთობას.

ინდოეთის ფესტივალის ყველა მონაწილე საბჭოთა კავშირში მიემგზავრება დიდი ენთუზიაზმითა და ამაყობს იმით, რომ წილად ხვდა პატივი იყოს ინდოეთის ხელოვნების წარმომადგენელი მეგობარ სსრ კავშირში.

სსრ კავშირში ინდოეთის ფესტივალის გახსნაზე ჩადის ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რ. განდი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან და სხვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან მისი მომავალი შეხვედრები დასაბამს მისცემს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპს. მივესალმებით ჩვენი ხელმძღვანელების რეგულარულ კონტაქტებს. ამ შეხვედრების შედეგად ხელმოწერილია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები, რომელთაგან ზოგიერთის, უწინარეს ყოვლისა, დელის დეკლარაციას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი და უძალადო მსოფლიოს პრინციპების შესახებ, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. რ. განდის ვიზიტი კეთილი ნების ვიზიტია, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მოსკოვის ახალი უმაღლესი დონის შეხვედრა ჩვენი ორი ქვეყნის კიდევ ერთი წვლილი იქნება მშვიდობისათვის, ბირთვული განიარაღების, შშვიდობიანი განვითარებისათვის ერთობლივ ბრძოლაში, ეზგასმით აღნიშნა კრიშნა საჰმ.

◆ აშშ

მზადების ახალი ეტაპი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ დაიწყო მზადება „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამით სამუშაოთა ახალი ეტაპისათვის. სამშობლოს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული მემორანდუმის თანახმად, მათი მიზანია განსაზღვროს, შეიარაღების როგორი სისტემები შეიძლება იქნეს გამოყენებული ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ბაზირების ელემენტებიანი ფართო მასშტაბის თავდაცვის სისტემის ადრეული განლაგების“ განხორციელებისათვის. მაგალითად, დოკუმენტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ პენტაგონის სამხედრო შესყიდვათა საბჭო შეუდგა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური სისტემის კომპონენტების შერჩევას, რომლებიც შეიძლება განლაგდეს 90-იანი წლების პირველ ნახევარში.

საქმე ეხება კონკრეტული საბრძოლო საშუალებების შესყიდვის გეგმის მომზადებას, რაც მიმომხილველთა აზრით, მოწმობს რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამა უახლოვდება განლაგების ეტაპს.

◆ პოლონეთი

პარლამენტების თავმჯდომარეთა შეხვედრა

ვარშავა. აქ გაიხსნა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტების თავმჯდომარეების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის პარლამენტების ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე განიხილავენ ყოველმხრივი სამოკავშირეო თანამშრომლობისა და სოციალისტური თანამეგობრობის ინტეგრაციის განმტკიცებაში პარლამენტების როლსა და ამოცანებს, მათი წვლილის გადიდებას სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ძირითადი დებულებების რეალიზაციაში ბერლინში გამართული ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის დოკუმენტების სულისკვეთებით. ისინი აგრეთვე ერთმანეთს გაუზიარებენ პარლამენტების მუშაობის გამოცდილებას მომავ ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის პროცესების სრულყოფისა და დაჩქარების საქმეში.

უმაღლესი სკოლის საზრუნავი: ცოდნა — ერთადერთი პრივილეგია

სტუდენტობის რამდენი პროცენტი სწავლობს უმაღლეს სკოლაში ცოდნის მისაღებად და რამდენი — დიპლომისათვის? — ამ კითხვაზე რომ ზუსტი სოციოლოგიურ-სტატისტიკური პასუხი გვქონდეს, დარწმუნებული ვარ, ერთობ გულსატკენ სურათს მივიღებდით. მაშინ უფრო გასაგები იქნებოდა, თუ რატომ არის აუცილებელი ლექციაზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალი, აკადემიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, გაუთავებელი ძიძაობა და ა. შ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთი ლექტორის ლექციის ჟურნალი კი არა, სხვა „დამხმარე ძალებიც“ სჭირდება, რადგანაც მისი ლექცია ეერავითარ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ცხადი გახდება, რომ გარდაქმნა, მხოლოდ ძირეული გარდაქმნა თუ უშველის საქმეს. ამდენი წუწუნს, „მდარე ხარისხის პროდუქციის“ გამოშვებას ვერც სახელმწიფო გვაპატიებს და ვერც ხალხი.

უმაღლეს სკოლაში ნამდვილ გარდაქმნას რომ მიეყოთ, მის ირგვლივ უთუოდ უნდა შეიცვალოს სოციალური ვითარება. პირველ ყოვლისა, იქ მოხვედრა არ უნდა ენდოდეს იმ კაცს, ვისი საქმეც ეს არ არის. ობიექტური წარამძღვრებით კი ჯერჯერობით ისე ვაიძულებთ ახალგაზრდას უმაღლეს სასწავლებელში შესვლას, რომ მას ვერავითარი ცოხელსიმაგრე ვერ შეაკავებს. ზოგიერთი მომენტი: მალაზიის თუ სასადილოს გამგისათვის არ უნდა იყოს აუცილებელი უნივერსიტეტის დიპლომი. ნიჭიერ კაცს უდიპლომობა არ უნდა უქმნიდეს ბარიერს. ჩვენში დიპლომი გახდა რაღაც ფატალური აუცილებლობა, ურომლისოდაც სოციალურ კიბეზე ადმავალი გზა ახალგაზრდისათვის ჩაკეტილია, ჩვენ ხშირად ზედმეტ მიზეზს ვხედავთ დიპლომის პრესტიჟულობაში, როცა მისი ფორმალური აუცილებლობა ფუნქციას დაკარგავს, ცხადია, სათანადო მონაცემები თუ არ აქვს, ისე მის მისაღებად მოცლილი კაცი იბრძოლებს მხოლოდ. უნდა ვაღიაროთ: დიპლომი ბევრისთვის გახდა თვითმიზანი, და ეს ეწინააღმდეგება უმაღლესი სკოლის საარსებო და ნამდვილ მიზანს — სპეციალისტის ჩამოყალიბების საქმეს.

გარდაქმნის თანამედროვე ვითარების კეთილსმყოფელი სულისკვეთება გვაძლევს იმის უფლებასაშუალებას, რომ სერიოზულ ნაკლოვანებათა ობიექტურ მიზეზებზეც ვილაპარაკოთ (ადრე ყველაფერი უნდა დაგებრალებინა მავანისა და მავანისათვის, ან ბუნდოვნად მინიშნებული „რაღაცისათვის“).

თუ უმაღლესი სკოლის მთავარი მიზანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებაა, მაშინ ამ მიზანს უნდა დაექვემდებაროს ყველაფერი და არ მივიღოთ მხედველობაში დანარჩენი, რაც მის განხორციელებას შეუშლის ხელს. მადლობა ღმერთს, დღეს სითამამისათვის მოწოდება, ურთიერთგამხნევება არ გვჭირდება, ამას ჩვენგან პარტია მოითხოვს, — ვთქვათ სრული და არა მიკიბულ-მოკიბული სიმართლე.

ჩვენი აზრით, მეცნიერული ინტელიგენცია ვალში ვართ მთავრობის წინაშე, რამდენადაც ვერ შეგძელით მკაფიო ფორმულირება, არგუმენტირება ზოგიერთი წესის უვარგისობისა. ვგულისხმობთ ისეთ მოვლენებს, რომლებმაც ფეხი მოიკიდა ჩვენი იდეოლოგიის სახელით და ამ დროს მიუღებელი გვგონია სწორედ ჩვენი იდეოლოგიისათვის, ყოველი ჰუმანისტური თვალსაზრისისათვის.

დღესდღეობით უმაღლეს სკოლაში შემსვლელთათვის მრავალნაირი საფეხური არსებობს — პრივილეგირებულთა და ნაკლები უფლების მქონე ახალგაზრდებისათვის. მიიღებს ახალგაზრდა წელში გაწყვეტილ „სამიანებს“ და ჩაირიცხება, მეორე მიიღებს „ოთხ ე ბ ს“, „ფრიადებს“. და რჩება გარეთ. ასეთი წესით შორს ვერ წავალთ. ეს ქმნის იმის ობიექტურ წინამძღვარს, რომ ვერ აღვზარდოთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. როგორც არ შეიძლება ბუნებრივი მონაცემების, ნიჭის მნიშვნელობის გაზვიადება, არც მისი დაკნინება ან იგნორირებაა სწორი.

ამას წინათ ერთმა ომის ვეტერანმა გვიამბო: — ომი ის-ის იყო მთავრდებოდა, მოუშუშებელი ჭრილობით უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე გავედი. მივიღე ის ნიშნები, რომლებიც კონკურსში იყო საჭირო და ჩავირიცხე. ჩემთვის რომ ეთქვათ, შენი „სამიანები“ სხვის „ხუთიანებს“ სჯობსო, თავს შეურაცყოფილად ვიგრძნობდი. ომში დამსახურებისათვის სახელმწიფო ჯილდოებსა და შეღავათებს არ გვაკლებს, მაგრამ ნიჭით კაცის დაჯილდოება არ შეიძლება!..

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ამ აზრს.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის ზრუნვა ყველა საბჭოთა მოქალაქის უწმინდესი ვალია. დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენს საზღვრებს — წყალში თუ ცაში თოფმომარჯვებული კაცი კი არა მეცნიერულ-ტექნიკური აზროზულ პრობლემას ქმნის. ჯერ ერთი, მის უმრავლესობას რის ვაი-ვაგლახით, გაუგებარი კონფიგურაციით ვამთავრებინებთ ფაკულტეტს; შემდეგ, ისინი გავლენას ახდენენ თანაკურსელებზე და ლექტორებზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე შეფასების კრიტერიუმებზე მიდგება.

სახელმწიფოებრივი ჩანაფიქრი ამ კურსებისა უაღრესად ჰუმანური და მის გაუქმებაზე ფიქრიც არ გვსურს. მაგრამ საქმე ასე გვესახება: სადღაც მთის სოფელში, დაბა-ქალაქში თუ დიდ ქალაქში ნიჭიერი ყმაწვილი ან გოგონა შრომობს და ფიქრობს სწავლაზე სწავლისათვის. ნიჭიერია, მაგრამ არა აქვს რეპეტიტორების ფული. წარმოება მას გზავნის ერთწლიან კურსებზე უმაღლეს სასწავლებელში. ერთი წლის მანძილზე მას ლექტორები უფასოდ ასწავლიან. ისწავლოს და შემდეგ კი ჩაბაროს მისაღები გამოცდები საერთო კონკურსის წესით! ეს არის ჩვენი ჰუმანისტური იდეოლოგიის პოზიცია და მას არ უნდა ვარდევედეთ.

რაკი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება, მისი დიპლომი ესოდენ საარსებო ინტერესებს საგნად იქცა, მისკენ მიმავალმა გზამ უამრავი ნეგატიური მოვლენა შვა, რომელთა მეტასტაზების ამოძირკვა ერთობ ძნელია. ამის ერთვის უმაღლესში შესასვლელი საინსტრუქციო წესების საშინელი დარაღლილ: ვთქვათ უნივერსიტეტში, ნებისმიერ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე ჩამბარებელმა ამიტერიენტმა ჩააბაროს ყველა ის ჰუმანიტარული საგანი, რომელსაც სკოლაში სწავლობდა. ასევე, შესაბამისად — საბუნებისმეტყველო დარგებში. ეს გაზრდის სკოლის პასუხისმგებლობას, სახელდობრ, რეალური ცოდნის გაღრმავების საჭიროებას. გავიხსენოთ მედლისათვის ბრძოლის სოციალური პროცედურა. ყველამ კარგად იცის, რაც ხდება, და ხდება, ჩვენი აზრით, მძიმე ცოდვა თაობების ფსიქოლოგიის წინაშე. მოვუხსნათ მედალს უმაღლესისაკენ მიმავალი საეშმაკო ატრიბუტები, შეღავათები და ვნახავთ, რომ პრესტიჟისათვის მედალს მხოლოდ ის სკოლადამთავრებული მიიღებს, ვინც ღირსია. შეღავათები მედალოსანს კი არა, ავადმყოფს სჭირდება. რაც შეეხება უმაღლესი სკოლის მისაღები გამოცდების ობიექტურ-სუბიექტურ ნაკლოვანებებს, აქ მათი დაძლევის გზების ძიება მხოლოდ ახლა დაიწყო. ჯერჯერობით კი სრული პრობლემების წინაშე ვართ.

სკოლასა და უმაღლეს სკოლას შორის გარდამავალი კავშირი სათანადო სრულყოფას მოითხოვს. როგორც ცნობილია, უცხოეთის ბევრ ქვეყანაში არასრული საშუალო სკოლის (შვიდი კლასის) დამთავრების შემდეგ სრულ საშუალო სკოლაში მოსწავლეს აქვს საგნების არჩევის საშუალება საბუნებისმეტყველო თუ ჰუმანიტარული ინტერესების შესაბამისად. ალბათ, ჩვენშიც დადგა დრო გავიხსენოთ, აღვადგინოთ თვით ჩვენი, საბჭოთა ხალხების ისტორიის დადებითი გამოცდილება. ძველი გიმნაზიელი რომ ბერძნულად კითხულობდა ჰომეროსს, ლათინურად — ციცერონს და შემდეგ შედიოდა უმაღლეს სასწავლებელში, დღეს ცოტა დაუჯერებელიც კი ჩანს, მაგრამ ასე იყო. ამას წინათ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ გამოაქვეყნა წერილი იმის შესახებ, რომ მცირდება განათლებული ადამიანების რიცხვი, რადგან განათლებას რეალური ფუნქცია არა აქვს, ხშირად კი იგი არავის სჭირდებაო. უკიდურესობაში ვერ ჩავვარდებით, მაგრამ ნამდვილი ფესვმგაური — ღრმა და ნათელი განათლება, ჭეშმარიტი ინტელიგენტურობა რომ სავალალო მდგომარეობაშია, ესეც ფაქტია. განათლებული კაცი ესთეტიკურად თუ საბუნებისმეტყველო ჰორიზონტით მეცნიერების ყველა დარგს სჭირდება. ჩვენი დაკვირვებით, ლაბორატორიებში, ცალკეული ბიოლოგიური თუ ფიზიკური მოვლენების ანალიზის დროს, გაცილებით უკეთ ხვდებიან მიზეზთა მიზეზს ის სტუდენტები, რომელთაც ფართო განათლება აქვთ. დიახ, ბიოლოგს ეხმარება დოსტოევსკისა თუ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გაგზრდა, რადგან აზრის წვდომა მოაზროვნეს შეუძლია და ჩვენი მიზანია აღვზარდოთ სტუდენტი — მოაზროვნე, მკვლევარი, მაძიებელი.

ჩვენი პუბლიცისტები, საზოგადოება კარგად გრძნობდნენ, რომ ადრე თუ გვიან ტვინრთად ქცეული ცრუსპეციალისტების სომბიმე ვერსტატარები გახდებოდა. აი, დადგა დრო ანგარიშისა. ოღონდ ავისა და კარგის გარჩევის ეს პროცესი დიდ დაკვირვებას მოითხოვს. საკითხი ასე დგას: უმაღლეს სკოლაში არ უნდა ასწავლიდეს ის, ვისაც სათანადო კონდიცია არა აქვს, არ უნდა სწავლობდეს ის, ვისაც საამისოდ მონაცემები არ გააჩნია. მაგრამ ამ აღმოჩენით შეიარაღებულებმა არ შეიძლება ერთბაშად განურჩევლად მოვკითხოთ ერთმანეთს პასუხი, რადგან ამ ამბის მიღმა ადამიანები არიან — ოჯახით, ცოლშვილით, ცხოვრებისეული უფლებამოსილი გეგმებითა თუ ოცნებებით. ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი, მოქალაქეობრივი ვალია უაღრესად ფრთხილად, ტაქტიანად ვეცადოთ, რომ ადამიანებმა თვითონ მოძებნონ და იპოვონ თავიანთი ადგილი. უმაღლესი სკოლისათვის, დიაღაც რომ, შეუფერებელია გამოთქმები: „გავაგდოთ“, „გავრიცხოთ“, „დავსაჯოთ“ და ა. შ. მაშ როგორ გავაჯანსაღოთ ცხოვრება, როგორ გავთავისუფლდეთ პროგრესის შემფერხებელი მოვლენებისაგან? საამისო სიტუაციები უნდა შეიქმნას.

უმაღლესი სკოლის თანამედროვე რეფორმა ბევრ სიკეთეს ითვალისწინებს. მათ შორის — არჩევითი სპეციკურსების დანერგვას. სტუდენტები ამოირჩევენ არა მარტო საგანს, არამედ მის წამკითხველ ლექტორსაც. რა თქმა უნდა, ამ მიმართებით ბევრი რამ დასახვეწია, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ სიტუაციები ვმართოთ.

ასევე გვმართებს ფიქრი სტუდენტთათვის უმაღლესი სასჯელის — გარიცხვის ფორმაზეც. როცა სტუდენტი იგრძნობს, რომ ვერ სწავლობს, ვერ შეძლებს საგნის დაუფლებას, მისი ტოლები კი უმაღლესდაუმთავრებლადაც რგიანად აწყობენ თავიანთ ცხოვრებას, წავა და ისიც თვის ადგილს იპოვის. ხოლო თუ მაინცდამაინც სურს უმაღლესი განათლების მიღება, დარჩეს კურსზე და გასწიოს ის ხარჯი, რაც ერთი კაცის მომზადებას სჭირდება.

იქნება, აი ახლა, ჩვენ მეცნიერებებივით ვაგებთ სწავლა-ცხოვრების პერსპექტიულ მოდელს?

არა, საამისო საფუძველი უკვე არსებობს — მთელი ჩვენი ცხოვრების განახლება-გარდაქმნის პირველი, მაგრამ საკმაოდ შთამბეჭდავი ნაბიჯები.

ჩვენი „საწუხარ-სათქმელის“ შინაარსი ამგვარად გვინდა შევაჯამოთ: დიპლომი, როგორც სპეციალისტობის აღმნიშვნელი ფორმალური ნიშანი, არ უნდა იქცეს „თილისმად“ და „ფეტიშად“. საამისოდ უკვე იქმნება სოციალურ-ეკონომიკური საფუძველი, სოფლიდან რომ თავზეხელაღებით გამომრბის ახალგაზრდა. ეს იმიტომ როდი ხდება, თითქოს თბილისური ყანგბადი ენატრებოდეს ვინმეს. სოფლად ცხოვრების რიგიანი პირობები უნდა შეიქმნას...

დღეს რეკომენდაციებითა და წინადადებებით ვერავის გაკვირვებ, მაგრამ ისიც ბევრს ნიშნავს, რომ ადამიანთა ჩვეულებრივი საუბრის ზედმეტად კონკრეტული თემები შეიცვალა. ყველა საქმეყნოდ ფიქრობს, წუხს, მსჯელობს სოციალურ პრობლემებზე.

ასეთმა ფიქრმა გვათქმევინა ჩვენც ჩვენი სათქმელი.

გ. სანაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
ვ. გოგუაძე,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორი, პროფესორი;
მ. ჯიბლაძე,
დოცენტი.

რესპუბლიკის მშრომელები იწონებენ საქმით დავუჭიროთ მხარი პარტიის კურსს

ერთსულოვნება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ალაფრთოვანა ჩვენი მეურნეობის შრომითი კოლექტივი. მიწათმოქმედები, მექანიზატორები, მეცხოველეები ახლა გულდასმით სწავლობენ პლენუმის მასალებს, პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვის ღრმამნიშვნელოვანი გამოსვლას.

პლენუმმა განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მშრომელთა უახლოესი წლების ამოცანები, მეუთითა არსებული პრობლემების გადაჭრის აუცილებლობაზე. აქედან ახლა ჩვენ სათანადო დასკვნები გამოგვაქვს. პირველ რიგში გადავწყვიტეთ ფართოდ განვახორციელოთ სამეურნეო ანგარიში, კოლექტიური და საოჯახო იჯარა, რაშიც ჩვენ უკვე სათანადო გამოცდილება გვაქვს. საკმარისია ითქვას, რომ იმ ქვედანაყოფებმა და ცალკეულმა ადამიანებმა, რომლებიც ამ მეთოდით მუშაობენ, ორჯერ გაზარდეს პროდუქციის წარმოება და შრომის ნაყოფიერება. მომდინარე წლიდან ჩვენი მეურნეობა მთლიანად ამ პროგრესული წესით იმუშავებს, ვიმუშავებთ აგრეთვე თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების მეთოდით. პლენუმის გადაწყვეტილებები ისინი უნდა დავძლიოთ საერთო საკაცობრიო ღირებულებათა გულისათვის, მივაღწიოთ ინტერესების ბალანსს. სწორედ ამას ეფუძნება ჩვენი ახალი აზროვნება. ჩვენ უკვე დავიწყეთ მისი ათვისება და არა მარტო თეორიულად. უკვე ბევრი ნაბიჯი გადავდგით. ვისწრაფვით განვახორციელოთ რეალურ საქმეთა პოლიტიკა. მაგრამ საჭიროა ნაცვლგება. მარტონი მშვიდობის ხიდს ვერ გავდებთ.

ეს რიტორიკა არ არის. სრულიად ცხადია, რომ სწორედ ახალი აზროვნების დეფიციტი უშლის ხელს მომწიფებული პრობლემების გადაჭრას. საჭიროა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა — მათ შორის მეცნიერთა, ექსპერტთა, საზოგადოებრივ და ნებაყოფლობით ორგანიზაციათა რეალისტური აზრი, — რომ გვქონდეს მსოფლიო სიტუაციისა და მისი ცალკეული პრობლემების ობიექტური ანალიზი, ვეძებოთ ახალი საერთაშორისო ურთიერთობის შენებლობის ოპტიმალური გზები. მაგრამ თავისთავად ეს მეცადინეობა ვერ უზრუნველყოფს ცვლილებებს, თუ ცვლილებები არ მოხდა სახელმწიფოთა საგარეო-პოლიტიკურ კონცეფციებში.

ამ ცვლილებებს ჩვენ უკვე ვახორციელებთ. ამასვე ველით შეერთებული შტატებისაგან. იმპერიული პოლიტიკის დრო წარსულს ჩაბარდა. ახალი საუკუნე ახალი მიდგომით უნდა ავაშენოთ. და ჩვენს საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს იმისათვის კი არ ვაყენებთ, რომ რაღაც პრიზი მოვიპოვოთ ან ვინმეს თავი მოვაწონოთ, არამედ იმისათვის, რომ გავაუჯობესოთ საერთაშორისო ურთიერთობა, მათ შორის სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა.

ეთანამოაუბრენი ერთმანეთს დაეთანხმნენ, რომ რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგებაში უფრო შეტევით, უფრო აქტიურ პოზიციას უნდა დაადგეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი მეტ ეფექტიანობას მის საქმიანობაში.

უპასუხა რა კარტერის კითხვას, დარწმუნებულია თუ არა მისი თანამოსაუბრე გარდაქმნის წარმატებაში, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: დიდი და ძნელი საქმე წამოვიწყეთ. გავიარეთ გარდაქმნის საწყისი პერიოდის უმნიშვნელოვანესი ეტაპი. ჩვენ მიერ წამოყენებული ცვლილებების პოლიტიკა საზოგადოებამ მოიწონა და დაიწყო მისი განხორციელება. გზადაგზა ბევრ ახალ პრობლემას ვაწყდებით. მიმდინარეობს შეგნების, ცხოვრების წესის, ცხოვრების ყაიდის სერიოზული გარდაქმნა, ვძლევთ ყველაფერს, რაც ხელს უშლის განვითარებას. საზოგადოებაში ატმოსფერო ძალიან შეიცვალა. საჯაროობამ და დემოკრატიზაციამ დიდი მხარდაჭერა პოვა და მასზე დაყრდნობით წინ მივიწევთ. ახლა, როცა გარდაქმნა უკვე ორ წელზე მეტი ხანია მიმდინარეობს, მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი წარმატების რაშენაც. ჩვენ ამ გზით ვივლით, როგორც ძნელიც უნდა იყოს იგი. იქმნება ეტაპები: მიზნების ნაწილს მივაღწევთ უახლოეს დროში, დანარჩენს რამდენიმე წელი დასჭირდება, გვაქვს შორეული მიზნებიც. ღრმა გარდაქმნათა შესაძლებლობანი გვაქვს.

ჯ. კარტერმა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მას აქვს სხვადასხვა ქვეყანაში მრავალრიცხოვანი შეხვედრების შედეგად, განაცხადა: მთელ მსოფლიოში პარობს იმის სურვილი, რომ საბჭოთა კავშირმა წარმატებებს მიაღწიოს დაწყებულ გარდაქმნებში.

საუბარში მონაწილეობდა ა. თ. დობრინინი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდინარე წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს საარსებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, მთელი საბჭოთა ხალხისათვის.

პლენუმის გადაწყვეტილებები ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის ძირეულ გარდაქმნას, ამ გარდაქმნის მაქსიმალურ დაჩქარებას და დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების ფართო გამოყენებას სოციალისტური

„კომუნისტის“ ინტერვიუ

გაათბე ძეგლი — წინაპრის სული

ჟარგა ხანია, გაზაფხულდება თუ არა, ყველაზე უფრო ფაქიზი ხელის კირითხურონი, მხატვრები თუ არქიტექტორ-რესტავრატორები, ერთი სიტყვით, ისინი, ვისაც ძეგლების ქომაგნი ჰქვია, თავიანთ მარჯვენას შეაშველებენ ხოლმე წარსულის ფიქრში გარინდულ, ათასჭირგამოვლილ, მხრებდამძიმებულ ძეგლებს, შეეშველებიან და მერე როგორ... მარტო ბზარდაჩნეული კედლის განმტკიცებაა განა, ხელახლა თბება ძველი ქვა და მასთან ერთად წინაპრის სული.

ბოლოს ... [illegible] გამოჰყვა, არქიტექტორ-რესტავრატორებს გზები და ბილიკები გაუძელა, მაგრამ ბევრგან მაინც მიაღწია მაშვრალმა ხელმა, საკეთებელი მაინც კეთდება.

გავესაუბრეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსს **ირაკლი ციციშვილს.**

— ბატონო ირაკლი, ფაქტია, რომ წლეულს განსაკუთრებით დიდი საზრუნავი გაუჩნდათ ძეგლთა რესტავრატორებს, რომლებსაც ახლა დაჩქარებული ტემპით მართებთ ისედაც გაორკეცებული საშუშაოების შესრულება, რას იტყვით, როგორი სურათია დღესდღეობით თქვენს „პოლიგონზე?“

— მართლაც, დიდი სიძნელეები შეგვექმნა. სტიქიურ მოვლენათა შედეგად დაზიანებულ

ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციისათვის რესპუბლიკის მთავრობამ დამატებითი ხარჯები გაიღო, მაგრამ უგზოობამ ბევრ რაიონში აღდგენითი სამუშაოების შესრულების საშუალება არ მოგვცა. ადგილების მასალების მოზიდვა გაჭირდა. სტიქიამ უმეტესად ძეგლთა სახურავები დაზიანა, ბევრგან, სადაც ძალზე მოძველებული იყო ისინი, მთლიანად ჩაინგრა კიდეც. ამ სამუშაოების გადადება არ შეიძლება. ყველგან, სადაც კი გზები აღდგა, შენებელ-რესტავრატორებმა უკვე შეაღწიეს. სადღესასწაო რესტავრატორები მუშაობენ ონის, თერჯოლის, ამბროლაურის, ქუთაისის, ზესტაფონის, ცაგერის, ზუგდიდის რაიონებში. ჯერჯერობით ვერ ვმუშაობთ სვანეთში, სადაც 68 ძეგლია მსუბუქად დაზიანებული. საქმე ისევ და ისევ სახურავებს შეეხება, თორემ, როგორც ვიცით, სვანეთის ყველა ძეგლის კედელი მყარად დგას. ბევრი ძეგლია შესაკეთებელი დუშეთის, ლენინგორის რაიონებში. მთლიანად შესასრულებელია 400 ათასი მანეთის სამუშაობი.

— **ეს ყველაფერი იმ ახალ საზრუნავზე, რომელიც ბუნების ჰირველობამ გაგიჩინათ, ახლა გეგმით გათვალისწინებულ სამუშაობებზეც გვიამბეთ.**

— ინტენსიურად მიმდინარეობს გელათის განთქმული მოზაიკის გამაგრება. საკონსულტაციოდ მოვიწვიეთ კიეველი ოსტატები და იუგოსლავი მეცნიერები, მათ შორის მოზაიკის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი მადინი. იგი თავის კოლეგასთან ერთად მაისში ეწვია საქართველოს და ორ კვირას დაჰყო გელათში. ჩვენგან სასიხარულოდ, მათ მოიწონეს ქართველ სპეციალისტთა მუშაობის მეთოდები და მცირეოდენი რჩევა-დარიგებანი მისცეს. გრძელდება ქუთაისის ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია. ჩვენი ბრიგადები მუშაობენ ამბროლაურში ბუგეულის ძეგლის, ცხაკაიას რაიონში ნოქალაქევის, გოჯის ციხის, ცაგერის რაიონში მურის ციხის, ხაშურის რაიონში წრომის ტაძრის, სვანეთში კი ფრესკების აღდგენაზე, გეგმაში გვაქვს გეგეჭკორის რაიონში მარტვილის ტაძრის რესტავრაციაც...

— აქ, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო აღდგენა-რესტავრაციით არ შემოიფარგლება ძეგლის სიცოცხლე. არის სხვა ფაქტორებიც. ხომ ცნობილია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რაიონისა თუ სოფლის ხელმძღვანელობამაც უნდა მიხედონ საქმეს. თქვენ მარტვილის ტაძარი ახსენეთ. აქ, როგორც ჩანს, ადგილობრივი ძეგლთა დაცვის საზოგადოება სათანადოდ არ ზრუნავს ტაძარზე, უფრო კონკრეტულად — ისეთ წვრილმანზე, როგორც ღიად დარჩენილი სარკმლების შემინვაა. ამის გამო კი ტაძარი ღამურების ბუდედ ქცეულა.

ეს ერთი მომენტი, ახლა მეორე: ბოლო წლებში არაერთხელ დადგა დღის წესრიგში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის განთავისუფლების საკითხი, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ამას ჩვენი საზოგადოებრიობა მტკივნეულად განიცდიდა.

— მართალი ბრძანებაა, მარტვილის ტაძარზე ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ უნდა შეაკეთოს, თუმცა რაიონული ძალებითაც შეიძლებოდა ეს გაკეთებულიყო. რაც შეეხება დავით გარეჯის კომპლექსს, საზოგადოებრიობას სიხარულით უნდა ვაუწყო, რომ სულ ახლახან ეს საკითხი დადებითაც გადაწყდა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულება რამდენიმე კილომეტრით გადაინაცვლებს. ასე რომ კომპლექსს არავითარი საშიშროება აღარ მოელის. ეს საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის უშუალო დახმარებით გადაწყდა, როცა იგი ამას წინათ საქართველოში სტუმრობდა.

— **გარკვეული ხნის მანძილზე არასახარბიელოდ გამოიყურებოდა ვაჟასა და ილიას კარმიდამოები. წლეულს ჩვენი რესპუბლიკა მათი საიუბილეო თარიღების აღნიშვნის სამზადისშია. რა გაკეთდა თქვენს დარგში ამ მხრივ?**

— ვაჟასა და ილიას საიუბილეოდ ჩვენმა სამმართველომ დიდძალი სამუშაოები შეასრულა და, რაც მთავარია უსასყიდლოდ. ეს ჩვენი საიუბილეო „საჩუქარია“. ყვარელში აღდგენილია ილიასეული კოშკი, მთავრდება ეკლესიისა და ციხე-გალავნის შეკეთებაც, გავაზის ძეგლის აღდგენა ახალსოფელში, ასევე დასრულდა საგურამოს სახლ-მუზეუმის რესტავრაცია. ახლა მიმდინარეობს საგურამოს ეკლესიის აღდგენა.

აღვადგინეთ ვაჟას კარ-მიდამოც ჩარგალში, ასევე გალავანი და მისეული წყსქვილი.

— **როგორ გესახებათ გარდაქმნა თქვენს სფეროში?**

— გარდაქმნის პროცესს ჩვენს სფეროში კარგა ხანია შეუმზადდა ნიადაგი, ვგულისხმობ იმ პერიოდს, როდესაც ჩვენი დაწესებულება შეიქმნა და რაც სამეურნეო ანგარიშზე ვართ.

ახლახან დავნერგეთ ბრიგადული იჯარის მეთოდი, თუმცა ჯერ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს, ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელი თუ თანამშრომელი თავს ვერ აღწევს ფორმალიზმს, ბიუროკრატიზმს. ხშირად ყოველ წვრილმან საქმეში უზარმაზარი ენერგიის დახარჯვა გვიხდება. გადახალისება ყველას ეხება. ისიც უნდა გითხრათ, რომ, სამწუხაროდ, წამატებები მშენებლობაში საყოველთაო მოვლენად იქცა, მისი მოსპობა, ჩემი აზრით, სწორედ ბრიგადული იჯარის წესით შეიძლება. მშენებლებთან ხელშეკრულებით ფორმდება სამუშაოს შესრულების ვადა და თანხა. თუ ბრიგადა სამუშაოს დროულად შეასრულებს, თანხა სრულად ეძლევა, ხოლო თუ დააგვიანებს, აკლდება. ერთი სიტყვით, რასაც დაიმსახურებს, იმას მიიღებს.

გვინდა კოოპერატივებიც დავნერგოთ. ბევრი მნახველი ჰყავს მუზეუმს ღია ცის ქვეშ, მაგრამ იქ მომსახურების არავითარი საშუალება არ არის. ეფიქრობ, აქ გავხსნათ სასაუზმე, სადაც იქნება ეროვნული კერძები. იგი კოოპერატივის წესით იმუშავებს, ასევე დაიჯარის სასახლის გვერდით სასტუმროს ვაუწყობთ, გვინდა მას ერთმა ოჯახმა უპატრონოს.

ასეთი ჩანაფიქრიც გვაქვს: თუ წელიწადში 115 ძეგლს ვპატრონობთ, ზოგიერთი ძეგლის რესტავრაციას კი სამი-ოთხი წელიწადი სჭირდება ხოლმე, ეფიქრობ, უფრო ნაკლები რაოდენობის ძეგლების შეკეთება უნდა დავისახოთ მიზნად, ოღონდ იგი ერთ წელიწადში უნდა დასრულდეს, ეს ნაბიჯი აღბათ უფრო ეკონომიური იქნება. უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ, თუ აქამდე წელიწადში ხუთი მილიონი მანეთის სამუშაოებს ვასრულებდით, სამომავლოდ ეს ციფრი შვიდ მილიონ მანეთამდე გაიზრდება, რაც ჩვენი ძეგლებისათვის პატრონისა და მთავრობის უფრო მეტი ზრუნვისა და ერთგულების დასტური გახლავთ. ეს ხომ არა მარტო სადღესასწაო, არამედ დიდი სამომავლო საქმეა.

რ. მუხიგულაშვილი.

• • •

სურათზე: მიმდინარეობს წრომის ტაძრის რესტავრაცია — გუმბათის დაშენება.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მღერის გოჰარ გასპარიანი

გოჰარ გასპარიანი... ვინ არ იცნობს მას! ვის არ მოუსმენია მისი იშვიათი სილამაზისა და გამომსახველობის ხმა! რამდენი შთამბეჭდავი მხატვრული სახეა თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში დაკავშირებული ჩვენი დროის ამ გამოჩენილ მომღერალთან! სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი გოჰარ გასპარიანი ერთგულად და პირნათლად ემსახურება თავის ხალხს, საბჭოთა კულტურას, ნამდვილი დიდი ხელოვნების მაღალ იდეალებს.

გოჰარ გასპარიანი დაიბადა ეგვიპტეში. ომის შემდეგ საცხოვრებლად გადმოვიდა საბჭოთა კავშირში. 1948 წლის 12 სექტემბერი ის დღეა, როცა მან სამშობლო პოვა.

— შინ დაბრუნებული მოხეტიალის გრძნობას ვერ გაიგებს ის, ვისაც სხვისი პურის სიმწარე არ უგემია, — იხსენებს მომღერალი, — დავდიოდი ერევნის ქუჩებში და მიკვირდა: აი ლენინის მოედანი — იგი გამოჩენილი ხუროთმოძღვრის ალექსანდრე ტამანიანის დაპროექტებულია; აი ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსის ხაჩატურ აბოვიანის სახელობის ქუჩა; აი პოეტ ისააკიანთან ხელგაყრილი დიხჯად მოსეირნობს მხატვარი მარტიროს სარიანი, რომელსაც ძველმოდური შლაპა ახურავს; აი ამ არაჩვეულებრივ შენობაში — ოპერისა და ბალეტის თეატრში მომიწევს მე სიმღერა! ოქროსფერი შემოდგომა იდგა ერევანში, შემოდგომის ფურცლები სცვიოდა ჰადრებს, შორს ცისფერ ცაში თეთრად მოჩანდა არარატი... სამშობლოში დაბრუნება და ერევნის ოპერის სცენაზე პირველი გამოსვლა ჩემი ცხოვრების ორი უბედნიერესი დღეა!

მას შემდეგ გოჰარმა შეასრულა ათობით პარტია სომეხ, საბჭოთა და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ოპერებში, გაუმართავს სოლო კონცერტები და თითოეული შეხვედრა მასთან მილიონობით მსმენელისათვის ხელოვნების დიდ შთამბეჭდავ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. ყოველი გამოსვლით მომღერალი კვლავ და კვლავ ამტკიცებს, რომ იგი თავისთავადი, მრავალმხრივი შემსრულებელია, იგი მომღერალიც არის და პოეტური ტექსტის სოცრად ხატოვანი დეკლამატორიც, დიდი დრამატული მსახიობიც. სწორედ მუსიკის, სიტყვის, სახის ორგანული ერთიანობით აშვება გოჰარ გასპარიანის სილამაზით, სიმართლით შთაგონებული საოცარი ხელოვნება.

სწორედ ასეთი წარმოუდგა იგი კვლავ თბილისელებს 30 ივნისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გამართულ საანგარიშო კონცერტზე. ვაჟთა ვოკალური ანსამბლის თანხლებით გოჰარ გასპარიანმა შეასრულა კომიტასის, ვერდის, დონიცეტის, გუნოს ნაწარმოებები... მომღერლის ლამაზი, ხავერდოვანი ხმა, როგორც ყოველთვის, გულში ჩამწვდომად ჟღერდა.

პასუხად მადლიერი მაყურებლის მხურვალე ტაში, ყვავილები დაიმსახურა...

გოჰარ გასპარიანის კონცერტი იყო თბილისში სომხეთის მთავარი მუსიკალური თეატრის გასტროლების ერთ-ერთი შთამბეჭდავი აკორდი. კონცერტის შემდეგ მომღერალმა მოკლე ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს:

— ამ წუთებში უდიდეს სიხარულს განვიცდი: კვლავ გამოვდივარ საყვარელ და ძვირფას თბილისში, მაყურებლის წინაშე, რომელსაც დიდ პატივს ვცემ მომთხოვნელობისა და ობიექტურობისათვის, კეთილმოსურნეობისა და მაღალი ინტელექტუალობისათვის. თითოეული ასეთი

შეხვედრა ჩემთვის არის შემოქმედებითი გამოცდა, დაუვიწყარი ურთიერთობა მეგობრებთანაც და უფრო ფართო მასშტაბით — მოძმე ხალხების შეხვედრის სიხარული, რომელთა მეგობრობა გაცისკროვნებულია ჩვენი სახელოვანი წინაპრების, ჩვენი თანამედროვეთა ურღვევი, ულამაზესი ურთიერთობა, ურღვევი ერთობა, ურღვევი ძმობის საუკეთესო წარმომადგენლების სახელებით. ეს დიადი გრძნობა შემოქმედებითი შთაგონების უშრეტი წყაროა.

სურათზე: მღერის გოჰარ გასპარიანი.

მ. მათვეევლაშვილის ფოტო.

ეკოლოგიური კალენდარი

ზაფხული

◆ მთავარი საზრუნავი ◆ მოამაგენი და ცდომილნი ◆ იაკობ გოგებაშვილის გახსენება ◆ ყაზალსტვეთს გასაჭირი ◆ ქიმია, სანიტარია და ჰიგიენა ◆ ალოვანი მეგობრის თანადგომა ◆ ცეცხლი და ხოხობი ◆ უმოქმედო თევზსაჭის საიდუმლოება ◆ სარეველას მთა და ბარი დაუპყრია ◆ ხილთა ქება ◆ აუცილებელი შეგონებანი



ა ი, რას ხედავენ ბუნების წიაღში გამოსული სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. (ეკოლოგ პ. დანსჩეროს მიხედვით): 1. ბიოლოგი; 2. ხოფლის მეურნეობის მუშაკი; 3. ინჟინერი; 4. მონადირე; 5. გეოლოგი; 6. მეტყევე.

თანამედროვე მედიცინა ადამიანის ათი ათას ავადმყოფობას და ასი ათას ავადმყოფობის ნიშან-თვისებას იცნობს,—წერს ერთგან ევგენი ჩაზოვი, აკადემიკოსი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, ლენინური და ნობელის პრემიების ლაურეატი.

ახლა ვიკითხოთ, რამდენი ავადმყოფობა და რამდენი კიდეც სატკივარი შეიძლება ჰქონდეს და აქვს კიდეც დედამიწის ბუნებას — მიწას, წყალს, ბალრს, მცენარეს თუ ცხოველს, მაშინ როდესაც მხოლოდ ამ უკანასკნელის სახეობათა რიცხვი დედამიწის ზურგზე მილიონ-ნახევარს აღემატება?!

...და ვაჟა-ფშაველას სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცია ყველას წამალი! ეკოლოგიური კალენდარიც ამიტომ ქვეყნდება, — თავის თავს და დაჭრილ ბუნებასაც ადამიანმა უნდა უმკურნალოს, სხვა გზა, სხვა გამოსავალი არ არის.

ახალი კალენდარი წელიწადის ყოველ დროს (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) გამოვა და, იმედია, ჩვენს მკითხველს უკეთ ჩაახედებს ეკოლოგიურ პრობლემათა კატალოგში, აპოვნინებს გადაუდებელ, საშრო საქმეს, გააცნობს მეცნიერთა, სპეციალისტთა, ბუნების მოამაგეთა ცოდნა-გამოცდილებას.

ადამიანმა ახლა უკვე კარგად უწყის, რომ ბუნება ყოველთვის ალალმართალია, ხოლო გაუგებრობანი და ცდომილებანი ისევ ადამიანისაგან მოდის. და ვიდრე გვიან არ არის, ანლებური აზროვნება მართებს — წარსულის შეცდომების გათვალისწინება, ეპოქის შესაფერისი შრომა-გარჯა...

ამ ზაფხულს ჩვენი მთავარი საზრუნავი სტიქია, რომელიც ზღვიდან მთამდე თითქოს ყველა ხევში ჩასაფრებულა და ხან აქ, ხან იქ თავს დაგვატყდება ხოლმე — შტორმი, ქარიშხალი, წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი, სეტყვა, მეხი, ტყის ხანძარი, გვალვა... — სახელი მათ სხვადასხვა აქვთ, თვისება კი ერთი, ყველგან ნგრევა და უბედურება მოაქვთ...

მიმდინარე წლის სტიქიურ უბედურებათა ზარალის ეკონომიკური, სოციალური თუ ფსიქოლოგიური შედეგების ანალიზი გრძელდება, მაგრამ მთავარი ცნობილია, სტიქია უპირველეს ეროვნულ პრობლემად იქცა და მასთან ბრძოლა კიდევ დიდხანს მოგვიწევს.

ამ ბრძოლაში წარმატების საწინდარია ერთსულოვნება და გონივრული მოქმედება, მოსახლეობის დროული გაფრთხილება და მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებათა გამოყენება, დაზარალებულთა საშიში ზონებიდან გამოყვანა და საიმედო ადგილებზე დაფუძნება, დანგრეული კარ-მიდამოს, კომუნიკაციების აღდგენა და დაკოდილი ბუნების გაჯანსაღება...

მთავარია გულს ნუ გავიტეხთ, რწმენა არ დავკარგოთ. გავიხსენოთ, საქართველოს ისტორია განა მტერთა თუ სტიქიათა დაძლევის ისტორია არ არის?

რაც შეეხება სტიქიასთან მორკინალთა თავდადებას, ალბათ, ჩვენი ბეთჰოვენი თუ ბრიუღოგიც მალე გამოჩნდება და ამ თემას შეაფერის ნაწარმოებს მიუძღვნის, ხოლო მეცნიერი, ბუნების ქომაგი, უთუოდ სწორად განსჯის, იპოვის მიზეზთა მიზეზს, თუ საიდან, როგორ ჩნდება ამდენი უბედურება? და, იმედია, რომ დასკვნა მწარე გაკვეთილისა სიკეთის წყაროდ გადაიქცევა.

ს აკარელოზა, კრიტიკა და თვითკრიტიკაც ჩვენი ცხოვრების ნორმა ხდება, ხოლო ეკოლოგია აკრძალული ზონა აღარ არის, მაშასადამე, აშკარად და თამამად უნდა ვამხილოთ გულგრილები და ბრაკონიერები, ბუნების დიდი სიმდიდრეებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში შემჩნეული ნებისმიერი მოქალაქე, განურჩევლად ასაკისა და თანამდებობისა, და პირში ვუთხრათ, ქვეყანას ვაუწყოთ, სად, როდის და რა მოიმქმედეს, თავს როგორ გვაჩვენებენ და რას წარმოადგენენ სინამდვილეში.

საკავშირო პრესა, რადიო და ტელევიზია ამის მაგალითს გვაძლევენ, ფართო მკითხველმა დღეს უკვე იცის ყარა-ბოღაზ გოლის ყელის ყრუ ჭეშტის ამბავი, რომელმაც სახელმწიფოს უდიდესი ზარალი მიაყენა, იცის არალის და შავი ზღვების, ბაიკალის და ლადოგის ტბების გასაჭირი და, რა თქმა უნდა, ჩრდილოეთის მდინარეთა სამხრეთში მოქცევის გეგმის კრახი...

და „პრავდის“ სიტყვებით, რომ ვთქვათ, გარდაქმნის მოთხოვნები, არსებითად მიზნად ისახავს ამას, რომ გავითვალისწინოთ შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ცალკეულ უწყებათა ეკოლოგიურად უწიგნურმა ხელმძღვანელებმა, დამპროექტებლებმა და მათმა ქომაგებმა...

ამ განწყობით ახლა თამამად ითქმის, რომ ჩვენი მდინარეების უცაბედი აბობოქრება, ღვარცოფული მოვარდნა და მერე ისევ უცაბედი დაშრეტა, გაყუჩება ტყეების უგუნური გაჩეხვის შედეგია; ხოლო მეწყერი, რომელიც სოფლად თუ ქალაქად ასე გაგვიმრავლდა, მცდარი სამეურნეო თუ სამშენებლო მოქმედების ბრალია; ტყის ხანძარი კი ბუნების წიაღში გაუფრთხილებელ მოქმედებას მოაქვს. ასე იყო შარშან, ჯვრის მონასტრის შემოგარენში დღისითმზისით იფეთქა ხანძარმა და სულ მცირე ხანში 85 ჰექტარი ნარგავი ფერფლად იქცა — ზარალმა 168,7 ათასი მანეთი შეადგინა!

მეტყევეთმა, მეზანძრეთმა, სპეციალისტთა და ბუნების სხვა ქომაგთა გაერთიანებულ მოქმედებას რომ არა, მთელი ტყე განადგურდებოდა... მიზეზი ამ სტიქიისა ცნობილია. ამბობენ, ქარმა მაღალი ძაბვის ელექტრონგადამცემი ხაზი დაგიხიანა, მოხდა მოკლე ჩართვა და ძლიერმა ნაპერწკლმა ბალახს ცეცხლი წაუკიდა... ვერაფერი ხვეგშია, რაც მთელი საქართველო ამგვარ „ხაზებით“ არის დაქსელილი, ხოლო წვიმას რომ გვალვა და ქარი მოსდევს, ყველამ კარგად უწყის, ასე რომ, მცხეთის გაკვეთილმა ენერგეტიკოსები და მეტყევეები უფრო უნდა დააფიქროს!

ვ ასაბირი აერთიანებს მეცნიერულ და ტექნიკურ აზრს, საშუალებასა და რესურსებს, ხოლო ოჯახი, სკოლა და სამსახური ჯანსაღი აზრის სათავეა, ამიტომ ჩვენი ვალია მისხალ-მისხალ შეკრიბოთ და ფართო საზოგადოებრიობას წარვუდგინოთ ყოველივე კარგი და ძვირფასი, რაც ბუნების დაცვის საქმეში მოგვეპოვება.

აი რამდენიმე დაკვირვება: იაკობ გოგებაშვილი თავის ბუნების კარში ერთგან ხუთ გრძნობას მიოხილავს (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება) და წერს, თუ რომელი საგანი რამდენი გრძნობით შეიცნობა. მაგალითად, ვაშლი ხუთივე გრძნობითაო, მარილი ოთხითაო (სუნი არა აქვს), ხოლო ჰაერი (ამჯერად ჩვენ სწორედ ეს გვაინტერესებს) ორითაო — ქარის ზუზუნი მესმის, შეხებასაც ვგრძნობ, მაგრამ ვერა ვხედავ, ვერა ვყნოსავ და ვერც გემოს ვუგებ...

ახლა სულ სხვა სურათია; უთვალავი ავტომანქანის და ფაბრიკა-ქარხნის გაუმართავი მილენიდან გამონაბოლქვ მავნე გაზს ხუთივე ნიშან-თვისებით ვცნობთ. და „უხვი ასორტიმენტითაც“ გვაქვს მორთმეული...

ამ ფაქტის საიდუმლოება მარტივია, სხვადასხვა მარკის ავტომანქანა ერთი კილომეტრის გავლისას ჰაერს 15-70 გრამი ნახშირჟანგით „ამდიდრებს“, ხოლო გაუმართავი — ორჯერ და მეტად...

სხვა სახეობათა ტრანსპორტისა თუ საწარმოთა მიმართაც ივიგე ითქმის, და ზაფხულის პაპანაქება პლუს მავნე აირები ყველას უჩუმრად გვწამლავს. რა ვიღონოთ?

ნ ყალზეც ვთქვათ: აი თბილისი, მდინარე ვერე, ანუ სკვირეთი. ქვის დამშუშავებელი საამქროს, სატრიკოტაჟო-საგალანტერეო გაერთიანების, სამხატვრო-საწარმოო კომბინატის... მესვეურების და ბაგეთა, წყნეთელთა და თბილისელთა ერთი ნაწილის წყალობით დიდგორის წმინდა სანახებში დაბადებული მდინარე ქალაქში მავნე და საშიში გამხდარა, ხოლო კუს ტბა, რომელიც ვერეს წყლით იკვებება, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს საბანაოდ აკრძალული წყალსატევთა სიაში აქვს.

ვერეს დღეშია მტკვარი და ყველა მისი შენაკადი თბილისში. დღმისწყალი, მილისხევი, ხევმარა, დამპალხევი, ვაზისუბნისხევი, დუქნისხევი, სამარხეზევი... რესპუბლიკის მრავალი სხვა ქალაქის თუ დაბა-სოფლის არტერია — სურამელა (სურამი), ოღასკურა (ქუთაისი), ღალძგა (ონჩამირე), ჩხოუშია (ზუგდიდი), ყოროლისწყალი (ბათუმი)...

ახლა ბუნების წიაღში ხალხმარცხენა ნაპირს, სადაც თხრილიდან და წყალმიღებებიდან არაგვის ცივი ნაკადი ირჩევენ თურმე, მაშინ კი ამდენი ცოდნა-გამოცდილება, დამპროექტებელთა, მშენებელთა და ეკოლოგთა თანამშრომლობა არ არსებობდა; ახლა ცოდნაც გვაქვს, საშუალებაც, თანამშრომლობის ტრადიციაც, და იქნებ მომმე აზერბაიჯანელ სწავლულებთან და სპეციალისტებთან ერთად ვიზრუნოთ თევზსავლელისათვის, დავუბრუნოთ ორაგული არაგვს, მდინარეს, რომელმაც მას თავისი სახელი უბოძა! შავი ზღვის აუზის მდინარეთა ჰიდროტექნიკური ნაგებობების თევზსავლებსაც და თევზამრიდებსაც მივხედოთ!

და ბოლოს, იქნებ უფრო რაციონულად გამოვიყენოთ ტბების, წყალსატევების და ჩვენი ზღვის სიღრმული სისტემა — თევზთა შევავსოთ ეკოლოგიური ნიშები, ყველა „სართული“, რათა მან ბუნებრივი საკვები სრულად აითვისოს; ყოველივე ეს, სპეციალისტთა აზრით, ერთისამად გაზრდის თევზის პროდუქტიულობას!

ზ აფხული დაძაბული შრომისა და ძიების დრო—მთასა და ბარში მზვნელ-მთესველს თუ მწყემსს ერთი დიდი მტერი ჰყავთ — სარეველა, ანუ ამბროზია, ბერკა, გვიორლა და ასე შემდეგ. ბევრგან მას ბიოლოგიური მეთოდით ებრძვიან და შედეგიც კარგი აქვთ, მაგრამ, სადაც ამ ხერხს ჯერაც ვერ მიუღწევია, უნდა ხელებდაკაპიწებულებმა ყვავილობამდე ვიღვაწოთ, თორემ სადაც ახლა ათი და ასი სარეველა მცენარეა, გაისად ათი და ასი მილიონი იქნება!

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერთა უქსპედიციები, ეკოლოგიური რაზმები, ნორჩი ნატურალისტები და ენთუზიასტი ბუნების ქომაგები აისიდან დაისამდე იღვწიან, კვლევა-ძიების საგანია ბუნებრივი რესურსები, ბუნების ძეგლები, სამკურნალო მცენარეები, სტიქიური მოვლენები... გული გულობდეს, თორემ დაკვირვების, დაცვის საგანს რა გამოლევს!

დამწიფდა და სუფრას ამშვენებს ბალი, ალუბალი, ალუჩა, ტყემალი, თუთა, ატამი, გარგარი, მოცხარი, ჭერამი, ქლიავი... ნაყოფით დახუნძლულ ხეხილს ბოძკინტებს უდგამენ, რომ ტოტები არ ჩამოიმტვრეს. იწყება კვირტით მყნობა ბალისა, მსხლისა, თუთისა, ზურმისა, კაკალნაყოფიანებისა. ხოლო კაკალს ახალი მტერი გასჩენია — მურაბის დამამზადებლები, არ დაგიდევენ, ვინ დარგო, ვინ გაახარა, მათთვის მთავარი მკვახე ნაყოფია, მისდაგმიან და ტოტიანად ტეხენ. რატომ?

„ჩვენ გვინდა, რომ თქვენ გარდაქმნის უტყუარი, შეგიბლეთ მონაწილენი იყოთ. გავბედავ და გეტყვით: ყველაფერს ბრმად ნუ ირწმუნებთ, ჩასწვდით ყველაფერს, ამ ჩაწვდომის საფუძველზე გამოიტანეთ საჭირო დასკვნები თქვენი ცხოვრებისათვის, თქვენი საქმიანობისათვის“... — აღნიშნავს მიხეილ გორბაჩოვი.

ჩვენი სათქმელიც და საქმენიც ეს არის!

„კომუნისტის“ რედაქციის გარეშოს დაცვისა და ეკოლოგიური განათლების განყოფილება.

ყაბალი

საფურნირო ორგიტა

ბაღრაკი. იუგოსლავიის ქალაქ სუბოტიცაში გრძელდება ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის საზონთაშორისო ტურნირი. ავადმყოფობის მომიზეზებით, მერვე ტურის წინ შეჯიბრებას გამოაკლდა კავალეკი (აშშ) და მასთან ნათამაშევი პარტიების შედეგები გადუქმდა. მერვე ტურში ტალმა დაამარცხა ზაპატა, სპილმენმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა მარიანოვიჩთან. 8 ტურის შემდეგ შეჯიბრების ლიდერებს — ტალს და სპილმენს 6-6 ქულა აქვთ.

მძლეოსნობა. სტოკჰოლმში „გრან-პრის“ სერიით გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე შვედმა სპორტსმენმა პატრიკ შებერგმა 242 სანტიმეტრი სიმაღლე დაძლია და 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა იგორ პაკლინის მიერ 1985 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი.

ტვიბის სროლა. მიტიშჩის სასროლეთზე მიმდინარე „გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის“ პრიზებზე საერთაშორისო შეჯიბრების პირველ დღეს წარმატებით იასპარეზა თბილისელმა **ნინო სალუქვაძემ.** მან პნევმატური შაშხანით სროლაში ყველას აჯობა (587 ქულა+100) და პირველ ადგილს დაესაკუთრა.

სასტენდო სროლა. ტალინში დამთავრდა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი. სასანგრო სტენდზე სროლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: ესტონეთი — 432 ქულა, მოსკოვი — 429, ლიტვა — 425. მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესები იყვნენ ლენინგრადელები — 422 ქულა. გამარჯვებულებს მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩა სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები. მესამე ადგილი წილად ხვდათ ესტონელებს — 420 ქულა.

ფიზბურთი. გუშინ მოსკოვში გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო ბაკოს „ნეფთჩი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 0:0.

დღეისათვის გუნდები სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	8	6	2	25-15	22
„ულგორისი“	8	4	5	24-18	20
„ტორპედო“	8	8	2	15-8	20
„დნეპრი“	7	4	4	18-9	18
„შახტიორი“	6	6	3	15-11	18
„დინამო“ მნ	6	5	3	14-7	17
„მეტალისტი“	6	4	5	12-12	16
„არარატი“	7	1	7	15-20	15
ცსკა	5	4	7	15-19	14
„დინამო“ მ	4	6	6	10-14	14
„დინამო“ კ	5	3	3	19-10	13
„აყირათი“	5	3	7	10-15	13
„დინამო“ თბ	4	4	8	12-20	12
„ზენიტი“	3	6	7	11-22	12
„ნეფთჩი“	3	5	8	12-18	11
„გურია“	2	5	8	7-17	9

წერილი საკავშირო სამინისტროს ფოსტიდან

მაღლიერების სტრიქონები

ჩვენს ქვეყანაში პოპულარული და საყვარელი მელოდია „სულიკო“ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ქუთაისის განყოფილების ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ფაზნისის“ თავსებური სავიზიტო ბარათი გახდა. ამ დღეებში იგი გამოვიდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მშენებლებისა და ექსპლოატაციის მუშაკების წინაშე, რომლებსაც ქართველმა მსახიობებმა ძღვნად მიართვეს ქართული სიმღერები და ცეკვები ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის ლიკვიდაციისას მათი დიდი თავდადებული შრომის აღიარების ნიშნად.

საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიიღო წერილი, რომელსაც ხელს აწერს პრიპიატის საქალაქო აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე, ჩერნობილის